გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღლია

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№383 (442) 18-25 ოქტომბერი 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

კიდევ ერთხელ ნააკითხეთ ხალხს ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებები – ზუსტი პროგნოზი თუ წინასწარმეტყველება?

გვ.2

8 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა ნაცებს "დირსეული" ადგილი მიუჩინა, მაგრამ სატანა საბოლოოდ მაინც არ არის დამარცხებული

გვ.3

გვ.3

რას ჰყვება თარგამაძის მანქანის აფეთქებაში ეჭვმიტანილის მეზობელი?!

ნუგზარ კვაშილავა: უცხო სიტყვათა კოლხური წარმოშავლობა

გვ.5

რომელი ემუქრება ქართველი ერის არსებობას: არარსებული მეგრული სეპარატიზმი, თუ ისტორიულად არსებული ქართლური სეპარატიზმი?

გვ.4

რომან კენკიშვილი: აუშ-ს ცენტრალური საფაზვერვო სამმართველოს 1945 წლის დირექტივა

გვ.6

ენგურჰესზე ტურისტული საიტი მოეწყობა

გვ.9

სანდრა რულოვსის „აღდგენითი სამუშაოები“

გვ.8-9

ჰამლეტ ჭიპაშვილი: ტერორიზმი დაუძლეველი სენია

გვ.7

„ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ ჩამოყალიბდა ანტაგონისტ სიმბიოზად, რომლებიც ერთმანეთით იკვებებიან...“

გვ.10

ილორი

კიდევ ერთხელ წააკითხეთ ხალხს ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებები – ზუსტი პროგნოზი თუ წინასწარმეტყველება?

(გამოქვეყნდა არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე)

გაზეთ **"საქართველო და მსოფლიოს"** მკითხველი ყოველთვის დიდი ინტერესით ეცნობა ხოლმე ინტერვიუებს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან. ცნობილი პოლიტიკოსის თვალსაზრისი განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც ქვეყანა არჩევანს აკეთებს, როდესაც დილემის წინაშე ვდგავართ – ვინ ავირჩიოთ? ვინ გადაგვარჩენს? ალექსანდრე ჭაჭიას ნაზრევისა და პროგნოზის აქტუალობაზე არამხოლოდ ქართველი პოლიტოლოგები, არამედ გაზეთის რიგითი მკითხველიც საუბრობს. ბატონ ალექსანდრეს ინტერვიუს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მოჰყვა გამოხმაურება. გთავაზობთ ამონარიდს ბოლო ინტერვიუდან, რომელიც ჯერ კიდევ არჩევნებამდე გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში:

ალექსანდრე ჭაჭია: – "საქმე ის არის, რომ, როგორც წინა, ასევე, ამჟამინდელ არჩევნებშიც ძირითად მეტოქეებად "ნაცმოძრაობა"და "ქართული ოცნება" გვევლინებიან. "ქართული ოცნება", რა თქმა უნდა, პარტია არ არის, არანაირი რეალური პოლიტიკური, ეკონომიკური პროგრამა და შესაბამისი ინტელექტუალური პოტენციალი მას არ გააჩნია და "ინტერესთა კლუბს" უფრო წარმოადგენს. ინტერესი კი დღეს ერთია – არ დავუშვათ "ნაცმოძრაობის" რეინკარნაცია. ამას მოსახლეობის უმრავლესობა დაუჭერს მხარს. გარემოებამ, რომ "ქართული ოცნების" მეტოქე "ნაცმოძრაობაა", მას ერთხელ უკვე მოუტანა გამარჯვება და, მიუხედავად მოსახლეობის სრული იმედგაცრუებისა, ამჟამინდელ არჩევნებშიც უზრუნველყოფს "ოცნების" დამაჯერებელ გამარჯვებას.

ამ არჩევნების დანიშნულება არ არის კვალიფიციური და ეროვნულად ორიენტირებული პარლამენტის არჩევა, ასეთის ასარჩევად არჩევანი არ გვაქვს; ტოტალური გარე კონტროლის პირობებში ეროვნული პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბება შეუძლებელია. ამ არჩევნების დანიშნულება და მნიშვნელობა არის ის, რომ საბოლოოდ დასამარდეს "ნაცმოძრაობის" პრეტენზია ძალაუფლებაზე, რათა ამერიკას ვაჩვენოთ, რომ "ნაცმოძრაობა" არ არის სერიოზული პოლიტიკური ძალა საქართველოში. ამიტომაც ყველა, ვისაც მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გააჩნია, უნდა მივიდეს არჩევნებზე და გამოხატოს ეს პოზიცია. მთავარია, რომ ამ არჩევნების შედეგებით ამერიკელებმა ჩამოწერონ ნაციონალები, დარწმუნდნენ მათი შემდგომი მხარდაჭერის უპერსპექტივობაში. ისინი, რა თქმა უნდა, მალევე შექმნიან "ახალ ნაციონალებს" სხვა სახელით (ათეულობით პარტია დგას რიგში და ელოდება თავის ჟამს), მოამზადებენ მათ შემდეგ არჩევნებში გაკოტრებული "ქართული ოცნების" ჩასანაცვლებლად, მაგრამ ამ ყველაფერს 2-3 წელიწადი დასჭირდება. ამასობაში კი, შესაძლოა, პატრიოტულმა ძალებმა შეძლონ კონსოლიდირება, რადგან კატასტროფის პირას ქართველებში, როგორც წესი, თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებს"

("საქართველო და მსოფლიო" №35 (364), 28-4ოქტომბერი, 2016 წ.).

"ალექსანდრე ჭაჭია მართალს ამბობს, კატასტროფის პირას მყოფ ქართველებში, როგორც წესი, თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებსო. იმედი მაქვს, სწორედ ახლაა ის დრო, როცა კატასტროფის წინაშე ვდგავართ"

ფრიდონ კვარაცხელია, ქალაქ ფოთის მთავარი კლინიკური საავადმყოფოს ექიმი-კარდიოლოგი:

– თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველი ვარ, განსაკუთრებით დიდი ყურადღებით ვკითხულობ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუებს, რადგან ეს ადამიანი ყოველთვის სიმართლეს ამბობს და, უმეტეს შემთხვევაში, მისი პროგნოზი სრულდება. მინდა გავიხსენო ამონარიდი მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან, სადაც საუბრობს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში ეროვნული ძალები ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, რაც, შესაძლოა, მართალიც არის, მაგრამ არ მინდა, ასე რომ იყოს. დროა, ქვეყანაში ეროვნული ძალები მოვიდნენ ხელისუფლებაში.

ნიჭიერი პოლიტიკოსის ბოლო ინტერვიუსაც გავეცანი. ის მართალს ამბობს, როდესაც ორი ძალის დაპირისპირებაზე საუბრობს. სიმართლეა, რომ ნაციონალები მოსაშორებელია. რადგან იმედი გაგვიცრუვდა და ერთიანად არ მოხდა მათი გაქრობა პოლიტიკური სივრციდან, ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად უნდა გავაკეთოთ ეს, თანაც, ჩვენ – ამომრჩეველმა.

25 წელია ვიღაცის მოშორებისთვის ვიბრძვით, საქმის კეთებას ვედარ ვახერხებთ. მართალია, ეროვნული ძალების კონსოლიდაცია ვერ მოხერხდა, მაგრამ ამ ვითარებაში საუკეთესოს არჩევის საშუალება მაინც გვაქვს, მთავარია, ხალხი ამას მიხვდეს. არ მინდა, ამ ჭკვიანი ადამიანისგან მოვისმინო, რომ მხოლოდ **"ნაციონალური მოძრაობის"** გასაძევებლად ვიბრძოლოთ; მინდა, ალექსანდრე ჭაჭიასგან მესმოდეს, მხარი დაუჭირეთ ამას და ამას, რათა უკეთეს საქართველოში ვიცხოვროთო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, რასაც ბატონი ალექსანდრე ამბობს, რეალობაა.

ამ ინტერვიუში ის **"პატრიოტთა ალიანსსაც"** ახსენებს, ვფიქრობ, მათი მხარდაჭერა აუცილებელია, მათ შეუძლიათ, იყვნენ მეორე ძალა.

ალექსანდრე ჭაჭია მართალს ამბობს, კატასტროფის პირას მყოფ ქართველებში, როგორც წესი, თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებსო. იმედი მაქვს, სწორედ ახლაა ის დრო, როცა კატასტროფის წინაშე ვდგავართ.

ამომრჩეველთა უმრავლესობა არჩევნებზე არ მიდის, მათი გამოყვანა აუცილებელია. ხალხმა მეტი იცის, ვიდრე რომელიმე პოლიტიკოსმა, ამიტომ ჩვენი ბრძენი ხალხის იმედი მაქვს. ფოთში ცოტა მძიმე ხალხი ცხოვრობს. თუ მათი არჩევნებისკენ დაძვრა შეძლეს, მგონია, რომ არჩევანიც სწორი იქნება და ქვეყანაც გადარჩება. ხალხი ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის და ისიც იცის, ხსნის გზა სად გადის.

"მშიერი ადამიანის არჩევანი სწორი არასოდეს იქნება"!

ტარიელ სუხიაშვილი, ინჟინერი: – ალექსანდრე ჭაჭიას უაღრესად დიდ პატივს ვცემ. ის დიდ პატრიოტად და მართალ კაცად მიმაჩნია, თუმცა, მისი ინტერვიუს ბოლო აბზაცზე, ცოტა გავკადნიერდები და შენიშვნები მაქვს.

რამდენი ნაციონალი იცით, რომლებიც **"ოცნებაში"** ან სხვა პარტიებში გადავიდნენ? – ალბათ, ბევრი. აი, ეს უნდა დასრულდეს.

ბატონი ალექსანდრე ამბობს, რომ ნაცები უნდა მოშორდნენ, მაგრამ ვინ არიან **"ოცნებაში"**? მათ პარტიულ სიაში, რამდენიმე ადამიანი რესპუბლიკელებზე უარესია. ასეთი უსახური კანდიდატები, დღეს რომ გვყავს, არასოდეს მინახავს.

2-3 წელიწადს ასახელებს ბატონი ალექსანდრე იმისთვის, რომ ეროვნული ძალების კონსოლიდაცია მოხდეს. ეს დრო ძალიან ბევრია, ხვალ გვიან იქნება. ბევრს აქვს ხალხის იმედი, მაგრამ მშიერი ადამიანის არჩევანი სწორი არასოდეს იქნება.

– ბატონი ალექსანდრე ამბობს, ქართველებში გაჭირვების ჟამს თვითგადარჩენის ინსტიქტი იღვიძებსო...

– ქართველები მაგ კუთხითაც ამოუცნობი ვყოფილვართ.

მინდა, ამ არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში 2-3 კაცი მაინც მოვიდეს ისეთი, რომლებსაც ეროვნულობის ოდნავი ნიშანწყალი მაინც ექნებათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამასაც ვერ ვხედავ. იმის შიშით, რომ ნაცები დაბრუნდებიან, არ შეიძლება იმ ძალის არჩევა, რომელიც ახლაა წარმოდგენილი. მათი არჩევა და ყველანაირი სიბინძურის დაკანონება ერთი იქნება და, თუ მომავალ თაობებს მოგვიწამლავენ, ასეთი საქართველო ვერ გადარჩება, ვინც უნდა ჩაუდგეს სათავეში. მესმის, ბატონ ალექსანდრეს რისი თქმაც უნდა, თანაც მან ზუსტად იცის, რომ დღეს სხვა შედეგს ვერც მივიღებთ, მაგრამ, ხვალ რომ ყველაფერი გვიან იქნება, ესეც ფაქტია.

"ხელახლა დაბეჭდეთ"

ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში ერთი უწყინარი პედაგოგი იოსებ კაკულია ცხოვრობს. ის გაზეთ **"საქართველო და მსოფლიოს"** აქტიური მკითხველია. მან ითხოვა, საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა, ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას 2012 წლის ინტერვიუები, რას ამბობს ის პარტიებზე – რისთვის იქმნებიან, რომ არავინ ფიქრობს მადალ იდეებზე, სამშობლოს კეთილდღეობაზე და რომ ყველას მხოლოდ ფულის შოვნა სურს, რაც, ალბათ, განსაკუთრებით ამ ბოლო არჩევნებშია შესამჩნევი. ბატონმა იოსებმა, აგრეთვე, გვთხოვა, კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა ხალხისთვის, რას წერდა ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლამდე ბატონი ალექსანდრე, რომ ის ვერ ხედავდა ბიძინას **"ოცნებაში"** საქართველოს განვითარების გზას, რომლის დანახვას საზოგადოებამ ოთხი წელი მოანდომა.

– ხელახლა დაბეჭდეთ, შვილო, ეს ყველაფერი. მოხუცმა კაცმა იმაზე უკეთ რა უნდა ვთქვა და რით უნდა მივიქციო ვინმეს ყურადღება? გაზეთ **"საქართველო და მსოფლიოს"** გამოსვლას სამეგრელოში ცის გახსნასავით ელოდებიან, ყველაზე მართალ სიტყვას თქვენ ამბობთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და ეს თხოვნა შემისრულეთ, ხალხს კიდევ ერთხელ წააკითხეთ ალექსანდრე ჭაჭიას, ჩვენებური, კარგი, ნიჭიერი კაცის, ნათქვამი, – გვითხრა ბატონმა იოსებმა.

მისი თხოვნით პოლიტიკოს ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუებიდან რამდენიმე ამონარიდს გთავაზობთ.

"...ივანიშვილის განცხადებებიდან არ ჩანს, როგორ ხედავს ის საქართველოს როლს და ფუნქციას თანამედროვე მსოფლიოში. შევარდნაძე გულახდილად აცხადებდა, რომ საქართველომ უნდა შეასრულოს ტრანზიტული დერეფნის როლი, სააკაშვილი ირწმუნება, რომ საქართველოს დანიშნულებაა, გახდეს სამოთხე ტურისტებისთვის. ორივე ფუნქცია ქართველი ერის მოსამსახურე პერსონალად გადაქცევას გულისხმობს, ამიტომ განადგურდა განათლების სისტემა, აკადემიური მეცნიერება, თეატრებში სტრიპტიზი იდგმება, ტელევიზიით პორნოგრაფიას აჩვენებენ და ა. შ. და ეს გასაგებიცაა: განათლება, მეცნიერება და კულტურა მოსამსახურე პერსონალს არ სჭირდება, მაგრამ როგორია საქართველო ივანიშვილის "ოცნებაში"? როგორია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მისეული სტრატეგია? – ეს ჯერჯერობით გაუგებარია" ("საქართველო და მსოფლიო" №10 (148), 14–20 მარტი, 2012 წ.).

ალექსანდრე ჭაჭია: "პარტიული ლიდერები ვერ ახერხებენ სათანადო ავტორიტეტის მოპოვებას ან მალე კარგავენ მას. პარტიები, პარტიული გუნდები ყალიბდება არა ქვეყნის განვითარების იდეების რეალიზაციისთვის, არამედ ადამიანთა ჯგუფის მომგებიანი დასაქმების მიზნით. პოლიტიკა ბიზნესი გახდა, ამიტომაც ჩვენ მუდმივად ვხედავთ გარიგებებს ოპოზიციურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის, განხეთქილებას პარტიებში, ერთი და იმავე სახეების გადასვლას პარტიიდან პარტიაში. ჩვენ ხომ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც უკვე ნამყოფი არიან აბსოლუტურად ერთ-

პარტიული ლიდერები ვერ ახერხებენ სათანადო ავტორიტეტის მოპოვებას ან მალე კარგავენ მას. პარტიები, პარტიული გუნდები ყალიბდება არა ქვეყნის განვითარების იდეების რეალიზაციისთვის, არამედ ადამიანთა ჯგუფის მომგებიანი დასაქმების მიზნით. პოლიტიკა ბიზნესი გახდა, ამიტომაც ჩვენ მუდმივად ვხედავთ გარიგებებს ოპოზიციურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის

მანეთის საწინააღმდეგო დასახელების მქონე ხუთ-ექვს პარტიაში. იდეოლოგიის, სტრატეგიული მიზნების არარსებობამ, პარტიული ლიდერების უპრინციპობამ მოსახლეობაში მათ მიმართ უნდობლობა გამოიწვია. ეს, სხვათა შორის, მათ ნაკლებად აღელვებთ. მათ იციან, რომ შეიძლება შეხვიდე პარლამენტში, თუ ამერიკელებს მოეწონები, და ისინი ხელისუფლებას მითითებას მისცემენ ამათუ იმ პარტიის შეყვანის თაობაზე. ამიტომ ბოლო წლებში ოპოზიციური პარტიების საქმიანობის მთავარი მიზანი იყო, დაემტკიცებინათ ამერიკელებისთვის საკუთარი მზადყოფნა და უნარი, შეესრულებინათ მათი მითითებები უკეთ, ვიდრე ამას მოქმედი ხელისუფლება აკეთებს ("საქართველო და მსოფლიო" №13(151), 4–10 აპრილი, 2012წ.)".

"საქართველო გადავარჩინოთ. ჩემო სამეგრელო, ჩემო ზუგდიდელებო, თავი არ მოიჭრათ!"

ნაცების **"გადაგდებიდან"** ოთხი წლის თავზე, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ მათ ასეთი საშინელების ჩადენა კიდევ შეეძლოთ. რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდის რაიონის სოფელ დიდ ნეძში ახალგაზრდა გოგონა, ლიკა დემეტრაძე, სარეკლამო პლაკატების გაკვრისას **"ნაციონალური მოძრაობის"** წევრებმა ქვებით ჩაქოლეს. საშინელი სანახაობა იყო. **"ინტელიგენციის"** იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც ამბობენ, რომ ნაცების მოშორების გამო ბიძინა ივანიშვილს ფეხები უნდა დავუკოცნოთ, დაზარალებული მაკა დემეტრაძის დედას, მაკა კოდუას ჩახედონ თვალებში; სამეგრელოში ჩავიდნენ და **"მოშორებული" "ნაცების"** ნამოქმედარი ნახონ, შეშინებულ ხალხს დაელაპარაკონ და ბოდიში მოუხადონ, საკუთარი აზრი თავისთვის შეინახონ და ფეხები, ვისაც უნდათ, იმას დაუკოცნონ.

დიდი ხანია, სამეგრელო მთავრობას აღარ ახსოვს და, თუ ვინმეს ახსოვდა, მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ერთმა ჩვენმა რესპონდენტმა განაცხადა, ნამუსი აეხადა. ამას მეგრელი ხალხი აღარ დაუშვებს.

"ჩემი შვილი რომც დაიღუპოს, საქართველო გადავარჩინოთ. ჩემო სამეგრელო, ჩემო ზუგდიდელებო, თავი არ მოიჭრათ!" – ასე მიმართა ლიკა დემეტრაძის დედამ, ქალბატონმა მაკა კოდუამ ხალხს, ასე ფიქრობს სამეგრელოს მოსახლეობის უმრავლესობა.

მოამზადა
ეკა ნასყიდაშვილმა

8 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა ნაცებს "ღირსეული" ადგილი მიუჩინა, მაგრამ სატანა საბოლოოდ მაინც არ არის დამარცხებული

ვერ ვიტყვი, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში სრულად გამოვლინდა ქართველი ერის ნება, რადგან, როგორც ჩანს, ოცნების ხელისუფლება ჯერ კიდევ ახერხებს ხალხის "დაბოლებას" ნატოში გაწევრიანებისა და ევროკავშირის ორბიტაზე მოხვედრის პერსპექტივებით.

თუმცა, სასიხარულოა, რომ საქართველოში აღარ იქნება:

— კასტილიანი სიყვარული!

— პალიასტომში ჩაყრილი მეგრელების გვამები!

— კასრებში ჩამალული დასაშანტაჟებელი ვიდეომასალა!

— ნარკოტიკის ჩადებით დაშინებული ახალგაზრდობა!

— მამების თვალწინ გაუპატიურებული გოგოები!

— შეშინებული და მოსყიდული სამეგრელოს მეუფეები!

— მეგისი, დათა, ბაჩანა, თენგიზი, როლანდი. უნამუსო, უტვინო, არაკაცი ლიდერები!

მენტორული ტონით ვეღარ დაგვმოძღვრავენ და პარლამენტში "ცუციკებივით" ისხდებიან უტიფარი ნაცები!

და რაც მთავარია, სამუდამოდ შეგვეშვება იმედგაცრუებული არაკაცი სააკაშვილი, რომელიც არის:

— თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში ნულოვანი ტოლერანტობის დამფუძნებელი!

— ზურაბ ჟვანიას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მკვლელი!

— ზუგდიდში მომხდარი და ვიდეოზე ასახული წამებების და გაუპატიურებების დამკვეთი. ის "ადამიანი", რომელიც ამ კადრებს უყურებდა და სექსუალურ კმაყოფილებას იღებდა!

— გირგვლიანის მკვლელის, თაკო სალაყაიას და ბაჩანა ახალაიას მფარველი!

— ოფშორში რეგისტრირებული ანგარიშების მფლობელი, სადაც ქართველი ხალხისთვის ჩამორთმეული და გაყიდული ქონებიდან შემოსული თანხები ირიცხებოდა!

— ნარკომანი!

— მან ჩაატარა აღლუმი სისხლიან რუსთაველზე!

— იგი არის უკრაინის მოქალაქე, რომელიც ცდილობდა ჩვენი არჩევანის გაყალბებას და უკრაინიდან სამარცხვინოდ გამოძევებული, ქართველების სისხლით შედებილ ქუჩებში შემობიჯებას!

— დიახ, მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მტერია. მას მოღალატეს ვერ უწოდებ, იმიტომ რომ ეთნიკურად ქართველი არ არის!

იგი, და მისი წყეული ოჯახი, უბრალოდ, საქართველოს დაუძინებელი მტერია!"

2003 წლამდეც კი ვუყურებდი და ვაკვირდებოდი, „ნაციონალურ მოძრაობას", მის იდეოლოგებს, ლიდერებს. ჯერ კიდევ 2001 წელს გამოვაქვეყნე წერილი გაზეთ "ილორში" სათაურით: "ჩემი თუ არ გჯერათ, იაკობ გოგებაშვილს მაინც დაუჯერეთ". მაგალითად მომყავდა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა "თედორე ხუცესის ამბავი", სადაც აღწერილი იყო სომეხი მღვდლის სააკაშვილის გმირობის ამბავი, რომელმაც გლეხებს ხიდი ააყრევინა და თურქ მოძალადეებს (სააკიანცი ახლა საქართველოს ისტორიულ მეგობრებად რომ "გვატენის") მდინარეზე გადასვლის საშუალება მოუსპო.

ვიცოდი, რომ სააკაშვილს ქართველები ისევე ეზიზღებოდა, როგორც მის მომთესლავ შევარდნაძეს და ამ სომეხი დაშნაკისაგან არავითარი სასიკეთო ქმედება მოსალოდნელი არ იქნებოდა. არც შევმცდარვარ — ავადსახსენებელი ციხის კოშმარი გახლდათ ამის დასტური. ვეძებ და ვერ ვპოულობ ზუსტ შეფასებას, რთულია, სახელი კონკრეტული სახელი დაარქვა ამ ძალას, მათ ქმედებებს, ეს ფაშიზმიც აღარ არის, უფრო მეტია! „ნაციონალური მოძრაობა" — ეს არის ბოროტთა შეთქმულება ქართული სახელმწიფოს და ქართველი ერის წინააღმდეგ!

მე სააკაშვილი კი არ მეცოდება — რას უშველის შეცოდება ფსიქიკურად შერყეულ არსებას? სააკაშვილს შეცოდება კი არა, მკურნალობა სჭირდება, უფრო სწორად საზოგადოებისაგან იზოლირება, რადგან მას ისე ღრმად აქვს გამჯდარი ძალაუფლებისადმი მანიაკალური ლტოლვის სინდრომი, რომ მისი განკურნება უკვე შეუძლებელია. შესაცოდებელი ის ხალხია, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერა, რომ სააკიანცი საქართველოს სასიკეთოდაა მოვლენილი და არა მის გასანადგურებლად.

სჯერათ, რომ იგი აუცილებლად ჩამოვა საქართველოში და ბედნიერ დღეებს გაუთენებს ქართველ ხალხს!

სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ იტყვი, რომ "ნეტარ არიან მორწმუნენი"!

მით უმეტეს, როცა სააკიანცის აღორძინების მორწმუნენი, აშკარად, სააკაშვილივით "შეშლილ არიან"!

მათი ქმედება "სტოკჰოლმის სინდრომს" გვაგონებს, როცა ტანჯულს თავისი მტანჯველი შეუყვარდება ხოლმე. განა სწორედ ეს არ გახლავთ დეგენერატიზმის თვალნათელი გამოვლინება?

სამწუხაროა, რომ დღეს საქართველოში არის 500.000 ადამიანი, რომელთაც სჯერათ დაშნაკი ნაცების, მათი ბელადის სააკიანცის და სიბოროტის დედოფალ სანდრა რულოვსის ჭეშმარიტების ნიადაგგამოცლილი დემაგოგიური პროპაგანდისა!

აი, ვინ არიან ამ 500.000 ადამიანის ანგარებითი თუ გაუაზრებელი ქმედებით საქართველოს პარლამენტში შემომძვრალი არარაობები:

საქართველოს სირცხვილნი!

1. ბაქრაძე დავითი;
2. რულოვს სანდრა ელისაბედ;
3. ხოშტარია ელენე;
4. გოცირიძე რომანი;
5. მელია ნიკანორი;
6. ტუღუში გიორგი;
7. კახიძე ოთარი;
8. სამადაშვილი სალომე;
9. აბესაძე ირაკლი;
10. კაპანაძე სერგი;
11. რატიანი სერგო;
12. კანდელაკი გიორგი;
13. ქებურია ლელა;
14. ბობოხიძე აკაკი;
15. ბოკერია გიორგი (გიგა);
16. ნაყოფია კობა;
17. ნადირაშვილი ირმა;
18. ჩიქოვანი მამუკა;
19. ბოკუჩავა თინათინი;
20. ნიკოლაიშვილი რამაზი;
21. ჭიაბერაშვილი ზურაბი;
22. დამენია ლაშა;
23. გოგორიშვილი ხათუნა;
24. გუნავა თენგიზი;
25. კედელაშვილი ზაზა;
26. სულეიმანოვი აზერი;
27. წერეთელი გიორგი;

და ესენი რომ დღესაც არსებობენ, სწორედ ესაა ქართველების სირცხვილი და სისუსტე...

როლანდ ჯალაღანია

რას ჰყვება თარგამაძის მანქანის აფეთქებაში ეჭვმიტანილის მეზობელი?!

4 ოქტომბერს, დამით, **"პირიმზესთან", "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"** ერთ-ერთი ლიდერის გივი თარგამაძის ავტომანქანა აფეთქდა. მანქანაში იმყოფებოდა თარგამაძე და მისი მძღოლი, თუმცა ისინი უვნებლად გადარჩნენ, დაშავად 5 გამვლელი, მათ შორის ერთი მძიმედ.

3 დღეში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დეპუტატ გივი თარგამაძის ავტომანქანის აფეთქების საქმე გახსნა.

უწყების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარი პროკურატურის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისგან შემდგარი სპეციალური საგამოძიებო ჯგუფის მიერ დეპუტატ გივი თარგამაძის ავტომანქანის აფეთქების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად საქმე გახსნილია. იდენტიფიცირებულია ხსენებულ დანაშულებრივ ფაქტთან კავშირში მყოფი პირი.

7 ოქტომბერს თბილისში რამდენიმე ადგილას ჩატარდა სპეცოპერაცია, მათ შორის გლდანის მე-3 მიკრორაიონში, სადაც ცხოვრობს, დანაშაულში მთავარი ეჭვმიტანილი დარჩო ხეჩუაშვილი.

შსს-ს ინფორმაციით, ხსენებული პიროვნების და მასთან კავშირში მყოფი სხვა პირების საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას სამართლდამცველებმა სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარა, სავარაუდოდ, ასაფეთქებელი ნივთიერებები და მათ დასამზადებლად განკუთვნილი საშუალებები, მჭიდები, ვაზნები და ნიღბები ამოიღეს.

შს სამინისტრომ გაავრცელა ვიდეო, სადაც გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებაში ბრალდებულის გადაადგილებაა ასახული.

შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, საქმის ფიგურანტების ნაწილი მიმალვაშია. რაც შეეხება ინფორმაციას იმის თაობაზე, მიდის თუ არა დარჩო ხეჩუაშვილის კვალი უკრაინაში, შს მინისტრმა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.

როგორც ირკვევა, გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებაში ეჭვმიტანილი წინა ხელისუფლებისას **სოდ**-ის თანამშრომელი იყო.

ხეჩუაშვილის მამის, ანზორ ხეჩუაშვილის განცხადებით, მისი შვილი საქართველოში არ იმყოფება და რუსეთშია წასული.

"ის ვითომ მონაწილეობდა შევარდნაძის წინააღმდეგ ტერაქტში. წავიდა ძიება და რომ ვერაფერი დაუმტკიცეს, მერე გამოუშვეს. ამის მერე იყო მუხროვანი, იქაც გაამართლეს. ჩემი შვილი აქ არ არის და როგორ მონაწილეობდა აფეთქებაში? 5 დღეა წასულია რუსეთში სამუშაოდ. უკრაინაში რა უნდოდა, მოსკოვში იყო წასული".

მეზობლის ინფორმაციით, ხეჩუაშვილების ოჯახი წლებია გლდანში სწორედ იმ მისამართზე ცხოვრობს, სადაც სპეცოპერაცია ჩატარდა:

— საკმაოდ მშვიდი და წყნარი ოჯახია. მშობლები უკვე ხანშიშესულები არიან, ყოველთვის კარგი მეზობლები იყვნენ, თუმცა შეძლებულად არასდროს უცხოვრიათ. ორი შვილი ჰყავთ, ქალიშვილი გათხოვილია, ბიჭი კი, წინა ხელისუფლების დროს, როგორც ჩვენ ვიცოდით, სპეცრაზმში მუშაობდა. მშობლებისგან განსხვავებით, ის ნაკლებად ურთიერთობდა ჩვენთან, ვთვლიდით, რომ საკუთარი საქმე ჰქონდა და ზედმეტი ყურადღებით არც ჩვენ ვაწუხებდით. არ გამიგია, რომ უკრაინაში იყო წასული, თუმცა სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კარგა ხანს არ ჩანდა, ვიცოდით, რომ მოსკოვში იყო სამუშაოდ წასული.

რამდენიმე თვეა დაბრუნდა და ბოლო ხანს **„ტაქსისტობდა"**. დაახლოებით ათი დღის წინ ვნახე, მას მერე არ მინახავს. ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო, რომ მას აფეთქებაში სდებენ ბრალს, მშობლებიც გაოგნებულები არიან. მამას გულის პრობლემები აქვს, სპეცოპერაციისას, რომელიც დაახლოებით დილის ოთხ საათამდე გაგრძელდა, შეტევა ჰქონდა და სასწრაფოს გამოძახება გახდა საჭირო. როგორც მეზობლები ამბობენ, იმ დროს, როდესაც აფეთქება მოხდა, მათი ვაჟი საერთოდ არ იყო საქართველოში, თუმცა მე ამას ვერც ვუარყოფ და ვერც დავადასტურებ.

როგორც ხედავთ, დაინტერესებული პირები ხაზგასმით ამბობენ, რომ ტერორისტი რუსეთშია, რათა ტერორის კვალი ამ ქვეყანას დაუკავშირონ. არა და, უტყუარად არის დამტკიცებული, რომ ტერორის კვალს (როგორც ყველა სხვა დანარჩენი არეულობისა) უკრაინაში, უფრო ზუსტად კი — ოდესაში მივყავართ, სადაც ავადსახსენებელი სააკიანცი ხვანჯავს სიბოროტეთა კასკადს საქართველოს წინააღმდეგ.

წერილს ვაგრძელებთ ჟურნალისტის, ქალბატონ ლალი პაპასკირის ინფორმაციით:

"დეპუტატ გივი თარგამაძის ავტომობილის აფეთქებისას 5 ადამიანი დაშავდა, მათგან ერთი მძიმედ. დავით ხუხალაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის ისევ კრიტიკულია. აფეთქების დროს დაზარალებული კვლავ ინგოროყვას სახელობის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება, ის მართვითი სუნთქვის აპარატზეა შეერთებული.

დანარჩენი დაშავებულების მდგომარეობა, ექიმების თქმით, დამაკმაყოფილებელია.

ჩვენ დავით ხუხალაშვილის ოჯახის ახლობელს ვესაუბრეთ, რომლის ვინაობასაც მისივე სურვილით არ ვაქვეყნებთ:

— დათო დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში, დედასთან ერთად ცხოვრობდა. არც ისე დიდი ხნის წინ ჩამოვიდა და ახლახან დაოჯახდა. ახალდაქორწინებულებმა სახლი იყიდეს და იქ გადავიდნენ საცხოვრებლად. არაჩვეულებრივი მეუღლე ჰყავს, ნათია. რომელიც ახლა თავზე ადგას და მეუღლის მდგომარეობის გამო, თავადაც ძალიან ცუდ დღეშია... დიდ ხანს უყვარდათ ერთმანეთი. ახლახანს პატარა შეეძინათ, ბიჭუნა. დათო პატარას შეჰხაროდა. არაჩვეულებრივი მამაა. თან გადაყოლილი შვილსა და მეუღლეს.

— ახლა როგორია დაშავებულის მდგომარეობა?

— ისევ მძიმეა. 6 ოქტომბერს გულმა ცემა შეწყვიტა და ელექტროშოკი დასჭირდათ დათოს გონზე მოსაყვანად. მეოთხე ხარისხის დამწვრობა აქვს, არტერიული სისხლძარღვებია დაზიანებული, ზედა და ქვედა კიდურებზე მძიმე დამწვრობა აქვს. ტკივილს ვეღარ უძლებს და უმეტესად ძლიერი დამაყუჩებლების ქვეშ არის, აძინებენ...

— ექიმები რას ამბობენ?

— სტაბილურად მძიმე მდგომარეობაშიაო... მეუღლე და დედა თავზე ადგანან. დედა რუსეთში ცხოვრობდა და მუშაობდა, ამ ამბის შემდეგ ჩამოვიდა. როგორც ვიცი, საზღვარგარეთ წაყვანა და მკურნალობაც შესთავაზა სახელმწიფომ, მაგრამ ადგილობრივ ექიმებს უთქვამთ, რომ საჭიროების ფარგლებში ყველაფერს აკეთებენ და ჯერჯერობით სადმე გადაყვანა საჭირო არ არისო. ყველანაირ ხარჯს სახელმწიფოს ფარავს, — ოღონდ გადარჩეს და ყველაფერს გავაკეთებთო, — უთქვამთ. პრეზიდენტი და ჯანდაცვის მინისტრიც იყვნენ მისული და ოჯახი გაამხნევეს. ყველანი ვლოცულობთ, რომ გადარჩეს.

— აფეთქების ადგილას როგორ აღმოჩნდა?

— სამსახურიდან სახლში მიდოდა, კოლმეურნეობის მოედანზე, გზას გადადიოდა ტრანსპორტში რომ ჩამჯდარიყო, სწორედ მაშინ აფეთქდა თარგამაძის მანქანა, კამერებსაც აქვს დაფიქსირებული ეს მომენტი".

ლალი პაპასკირი

რომელი ემუქრება ქართველი ერის არსებობას: არარსებული მეგრული სეპარატიზმი, თუ ისტორიულად არსებული ქართლური სეპარატიზმი?

ამას წინათ, შემთხვევვით, ხელში ჩამივარდა გ-თი **„ქრონიკა+“** (№26, 19.07.2016), რომელშიც გამოქვეყნებულია ცნობილი პოლიტოლოგის ალექსანდრე ჭაჭიას შვილის – სანდრო ჭაჭიას ინტერვიუ. არაფერია გასაკვირი, რომ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც ე.წ. მეგრული ენა და ქართველი ერის ჭეშმარიტი ისტორია არ იცის და აღიზარდა ყოვლად უზრუნველყოფილ პირობებში, ჯერ კიდევ, საკმაო პირადი გამოცდილების არმქონეს, ეგოისტური ამბიციები განუვითარდეს, რეალობაში ვერ გაერკვეს და ავ-კარგის შეფასებაში შეცდომა მოუვიდეს (ავ-კარგის გარჩევის უუნარობამ მიიყვანა იბერთა მოდგმა ყოფნა-არყოფნის ზღვრამდე), მაგრამ დასანანია, ასეთი შეცდომები, ხშირად, დიდ ადამიანთა შვილებსაც მოსდით ხოლმე. ამიტომ მე სანდრო ჭაჭიას მიერ აღებული კურსის და შეხედულებების შეფასებას არ შეუდგები, რადგან ისედაც, ცხადია, მასზე იმ პირთა ძლიერი გავლენა, რომლებიც, სამწუხაროდ, დღემდე მმართველ სისტემებში ბოგინებენ და ქვეყანა უფსკრულის პირამდე მიიყვანეს.

გასაკვირი ის არის, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ეროვნული შუღლის გაღვივებისათვის ბრძოლაში ჩაბმულ პირთა მხილების ნაცვლად, მიუხედავად კოლექტიური მიმართვისა (მიმართვა ჩაბარდა აკადემიას 2016 წლის ივნისის დასაწყისში), ეპასუხათ ჩემს მიერ დასმულ კითხვებზე და გაეკეთებინათ მეცნიერული დასკვნა, თუ ვინ არის დაინტერესებული არარსებული მეგრული სეპარატიზმის შექმნით, დანაშაულებრივად დუმს.

ინტერვიუერი ქ-ნი მარიამ ბალანჩივაძე ასეთ პროვოკაციულ კითხვას უსვამს სანდრო ჭაჭიას: **"...საპარლამენტო არჩევნებამდე არცთუ დიდი დრო დარჩა. სამეგრელოს რეგიონში რა ხდება? რამდენადაა მოსალოდნელი მეგრული სეპარატიზმის გააქტიურება?“**

ამ კითხვიდან ცხადია, ქ-ნი მარიამის აზრით, **„მეგრული სეპარატიზმი“** მუდამ არსებული, ქრონიკული და განუკურნებელი ჭირია ქართველი ერისა.

ცნობილია, რომ ამ რეგიონის მოსახლეობის სულიერი მოთხოვნა, ადამჟამინდელ **„ნანას“** ენაზე მწერლობის აღდგენა და განახლება, მეგრელებს სეპარატიზმად ეთვლება. სხვა მიზეზი არ არსებობს და ვერც ვერავინ დაასახელებს, რადგან არ ყოფილა შემთხვევა, რომ მეგრელებს საერთო ეროვნული სხეულიდან გამოყოფაზე აზრმა და რატომ? ამაზე მოკლე ცნობებს მივაწვდი პატივცემულ მკითხველს, რასაც სხვაგან ვერსად შეხვდება.

ცნობილია, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში 66%-ზე მეტი უცხოური ლექსიკაა დამკვიდრებული (აკად. აკაკი შანიძის გამოთვლით), მხოლოდ 34%-მდეა ეროვნული წარმოშობის ლექსიკა, რომლის ეტიმოლოგიას ქართული ენაც კი ვერა, მხოლოდ ე.წ. მეგრული ენა ხსნის. კაცობრიობის პირველი დამწერლობანი – ჩვენი მხედრული და ასომთავრული, იბერთა შექმნილია. ამასთან, ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკა, თითქმის, იბერიულია (ე.წ. მეგრულია). მაშასადამე, იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის წილი საერთო სალიტერატურო ენაში, არანაკლებ, 70%-ია. ე.ი. ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველი ერის ეროვნულობას ე.წ. მეგრული ენა განსაზღვრავს, მაგრამ ამის აღიარება, რატომღაც, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასაც უჭირს და, ვიმეორებ, დანაშაულებრივად დუმს, მიუხედავად მრავალჯერ თხოვნისა. სწორედ, აღნიშნული რეალობები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ არსებობდეს მეგრული სეპარატიზმი. განა შეიძლება საზოგადოება თავის თავს გამოეყოს? მაგრამ, როცა ე.წ. ქართველი ერის მეტი ნაწილისათვის (ეგრეთ წოდებული იმიტომ, რომ ქართველი ერი ფაქტიურად იბერი ერია) ეროვნული წარმოშობის ლექსიკა ისევე უცხოა, როგორც სპარსული, სომხური, ბერძნული, ლათინური, არაბული და თურქული, ქართველი ერი გამოდის ეროვნების არმქონე, სხვადასხვა ერის 100%-იანი კონგლომერატი, რაც გარე აგრესიულ ძალებს აძლევს უნიკალურ საფუძველს ქართველი ერის საქართველოდან გაძევებისა.

ვინ უფრო იბრძვის ქართველი ერის ეთნიკურ ერთეულებს შორის შუღლის გაღვივებისათვის? გარე აგრესიული ძალები, თუ შიგა სეპარატისტული ძალები? აკი ზემოთ აღვნიშნეთ რომ შეუძლებელია მეგრული სეპარატიზმის არსებობა? მაშ, რომელი სეპარატიზმი ესწრაფვის ქართველი ერის რღვევისკენ?

ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლობამ, თუ ჭეშმარიტების გაცხადების შიშმა, ყოფნა-არყოფნის ზღვრამდე მიიყვანა ქართველი ერი. 30 საუკუნეზე მეტია ეს სეპარატიზმი არსებობს და დაუნდობლად ხრავს იბერთა მოდგმის ეროვნულ სულს და სხეულს, მაგრამ ეს ჭეშმარიტება პირველად საუკარაოზე გამოვლინდა მე-2 საუკუნეში, ქართამ I მეფობის ხანაში, როცა იბერიას გამოეყო ქართლი (ორმეფობის ხანა) და შექმნა არმაზის სეპარატისტული სახელმწიფო (იხ. ექვთიმე თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ, ჟ-ლი **“მნათობი”,** №8, 1948 წ; პავლე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტომი IV, გვ. 521, 1975), თუმცა, ექვსი მეფის (ბარაცმანის, კაოს, არმაზავრის, ადერუკის, ფარსმან-ავაზისა და მირდატის) მეფობის შემდეგ იძულებული შეიქნა ისევ დამორჩილებოდა იბერიას. უეჭველია, 523 წელს იბერიის სახელმწიფოს დანგრევაში ლომის წილი მიუძღვის ქართლურ სეპარატიზმს, რადგან იბერიის დაცემის შემდეგ, იბერი მმართველები შეიცვალა ქართლელი მმართველებით, მაგრამ სამეფო არ აღუდგენიათ, ცალ ცალკე საპიტიახშოებად დაყოფილი შევიდა სპარსეთის შემადგენლობაში. პირისიგან მიწისა აღგვილი იბერიის ნანგრევებიდან ფენიქსისებრ აღმდგარი, მაგრამ ეთნიკურ ერთეულებად დაშლილი იბერთა ისევ გაერთიანება, სწორედ, იბერებიდან, მეგრელებიდან, ეგრისიდან, იწყება და არა ქართლიდან.

უსინათლომ და მავანთაგან უმწეოდ წოდებულმა, მაგრამ გონიერმა ეგრის-აფხაზეთის მეფემ-თეოდოს მეორემ, რომ აღედგინა იბერიის სამეფო, 978 წელს ეგრის-აფხაზეთის მეფედ აკურთხა თავისი დისშვილი (თვითონ უშვილო იყო), ქართლის უფლისწული – ბაგრატ III ბაგრატიონი, მაგრამ ჩვენი უფლებები შეიკვეცებაო და არც ბაგრატ III ბაბუამ – ბაგრატ II (რეგვენად წოდებულმა) და არც მამამისმა – გურგენ II, თავიანთ სიცოცხლეში აღარ ინებეს ეგრის-აფხაზეთთან გაერთიანება. მხოლოდ 1008 წელს, სიკვდილის წინ, გურგენ II ანდერძით დაუტოვა თავის კანონიერ მემკვიდრეს დინასტიურად კუთვნილი მამული, მაგრამ წინ აღუდგნენ ნათესავები, ვინმე სუმბატი და გურგენი და ბაგრატ III გარკვეული სისხლისღვრა დასჭირდა ქართლის შემოსაერთებლად. რატომ? ამაზე რაიმე ოფიციალური ისტორიული ცნობა არ გვაქვს, მაგრამ ჭეშმარიტებაში გვარკვევს იოანე პეტრიწის ნაშრომის (იხ. **„განმარტებანი პროკლე დიოდოხოსის ღმრთის მეტყველების საფუძვლებისა“,** ბოლოსიტყვაობა) სიღრმისეული გაცნობა. პეტრიწის წინარე ხანაში, ეგრისისა და ქართლის გაერთიანების შემდეგ მთარგმნელთა გააქტიურება და პეტრიწამდე მდაბიოდ დარჩენილი ქართლური ენის რეფორმის აუცილებლობა, აშკარად მიგვანიშნებს, რომ ქართლური ენა 1008 წლამდე არასოდეს ყოფილა სახელმწიფო ენა და გაერთიანების პროცესში უმთავრეს საკითხად იდგა, თუ რომელი ენისათვის მიენიჭებინათ სახელმწიფო ენის სტატუსი. იბერიულისათვის, თუ ქართლურისათვის? თუ სახელმწიფო ენა იბერიული იქნებოდა, ქართლი ისევ დაიჩაგრებოდა, ხოლო ადამჟამიდან მომდინარე იბერიული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა უდიდესი ტრაგედია იქნებოდა იბერთათვის, მაგრამ მათი ცალცალკე არსებობისას, იბერთა მოდგმის, საერთოდ, გაქრობის საშიშროება იმხანად ძალზე დიდი იყო, ამიტომ გაერთიანდა იბერია, ამ დროისათვის უკვე ეთნიკურ ერთეულებად დაშლილი და წოდებული ეგრის-აფხაზეთად და ქართლად.

აი, ეს ისტორიული სინამდვილე უდევს საფუძვლად ლეონტი მროველის მოთხრობილ ზღაპარს – ქუჯი-ფარნავაზის ეპოპეას.

სულგრძელმა იბერმა მამულიშვილებმა ქართლური ენის სრულყოფაზე დაიწყეს მუშაობა. მდაბიო ქართლური ენის რეფორმასა და განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მოსე ხონელს, იოანე მინჩხს და სხვა იბერ მოღვაწეთ, რომელთა ძალისხმევით მდაბიო ქართლური ენა, ერთ საუკუნეში, რუსთაველის ეპოქისათვის, კლასიკურ ენად იქცა. ჰეგემონობის ხელში ჩაგდების შემდეგ, ნაცვლად იბერთათვის სულგრძელობისათვის პატივის მიგებისა, ქართლელებში იმძლავრა სეპარატისტულმა ჟინმა და განათლების უფლება ჩამოერთვა ე.წ. მეგრელებს. ამიტომ არ ჩანან მე-13 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე მეგრელი ავტორები სამოღვაწეო ასპარეზზე. უფრო მეტი, მათ მოახერხეს საუკუნეების განმავლობაში მეცადინეობით შთაენერგათ იბერთათვის, რომ ისინი ისტორიულად მდაბიონი არიან, რომ შეუძლებელია, მათ წარჩინებული, ელიტარული ნაწილი ჰყოლოდა, რომ სამეგრელოს მოსახლეობა შედგება ქართლური ეთნოსიდან გამოსული თავადაზნაურობისა და მეგრელებისაგან. მეგრელები კი, იგივე, გლეხებია. მოკლედ, ქართლური სეპარატიზმი არ დასჯერდა იბერთაგან ჰეგემონობის დათმობას და მოისურვა იბერებში ჩაეკლა ეროვნული სული, აღმოეფხვრა ღვთითბოძებული სიბრძნე და, საერთოდ, დაევიწყებინა მათთვის, რომ ისინი იბერები არიან. ამიტომ გააქრეს იბერიული ბიბლია „ეფუთი“. ამ მიზნით შეუცვალეს მათ ცინიკურად სახელი: იბერი – იგერი – ეგერი – ეგრი – მეგრი – მეგრელი (სხვა თანხმოვანი ბგერის გ ბგერით ჩანაცვლების ფონეტიკური კანონზომიერება იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ავ-კარგის გარჩევის უუნარობამ ყოფნა-არყოფნის ზღვრამდე მიიყვანა იბერთა მოდგმა. ასევე, ღმერთთან მოკავშირე იბერთა მშობლიური ენის დავიწყება და გაუცხოება ღუპავს ქართველ ერს. როგორ? ეროვნული ენა, ეროვნული წარმოშობის ლექსიკაა ეროვნული ენერგიის მომცემი. მხოლოდ ობიექტური და გონიერი ადამიანი მიხვდება რაოდენ დიდი ტრაგედიაა ქართველი ერისათვის, ბუნებისგან (ღვთისგან) ნაკარნახევ ძირისეულ ფორმებზე აგებული, შეუდარებელი გამომსახველობითი უნარის მქონე იბერიული ენის როლის დავიწყება სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბებაში, რაოდენ დამანგრეველია ერთთანხმოვნიანი, ღვთისგან ნაკარნახევი და, ამდენად, ღმერთთან დამაკავშირებელი ბგერა – სიტყვების უგულებელყოფა და დავიწყება, რომლებშიც ასახულია ყველა ის თვისება, რომლებმაც ორფეხა ველური ცხოველი ადამიანად აქცია და რომელთა რაციონალურ და უშეცდომო გამოყენებაში განღმრთობის პოტენციალი დევს, ანუ უძლეველია ღმერთთან მოკავშირე.

ამიტომ გვსურს ე.წ. მეგრულ ენაზე მწერლობის აღდგენა და განახლება, რაც ეროვნული ენერგიის გაჯანსაღებისა და გაძლიერების საწინდარია (იხ. გერონტი ქიქოძე, ენა და ეროვნული ენერგია), მაგრამ ეს არ ესმით ქართლელ სეპარატისტებს (ღმერთმა ნუ ქნას ყველა ასეთი იყოს) და ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ მოიშორონ სამეგრელო, ანუ იმ ტოტს ჭრიან, რომელზეც სხედან. ამდენად, ისტორიულად არსებული ქართლური სეპარატიზმი ახრჩობს ე.წ. ქართველ ერს და არა რუსული ან სხვა რომელიმე აგრესია. ხელისუფლების მხრიდან სამეგრელოს მიმართ უყურადღებობა და **„ნაცებისთვის“** გასაბრიყვებლად მათი შეტოვება, სწორედ, ქართლური სეპარატიზმის ნაწილია.

სალიტერატურო ენაში უცხო სიტყვათა დამკვიდრებით აღებული 30%-იანი წილი ვერ ასვენებს ქართლურ სეპარატიზმს, მაგრამ უცხო ენებისგან აღებული ექვსივე ძალა (სპარსული, სომხური, ბერძნული, ლათინური, არაბული და თურქული) ურთიერთ საწინააღმდეგოა, აბათილებენ ერთმანეთს და არ იძლევა რომელიმე ერის ეროვნულ ენერგიას, რომ თვითონ მოინდომოს და შეძლოს გამოყოფა, ამიტომ ეძიძგილავება გამუდმებით მეგრელებს იმის იმედით რომ, საბოლოოდ, ჩაკლავს მასში იბერიულ სულსა და გენს და განთავისუფლდება მისგან. ამ ბრიყვ სეპარატისტებს იმის განსჯის უნარიც არა აქვთ რომ, ეროვნული ენის გახსენებისა და ეროვნული ენერგიის მოკრებვის გარეშე, სახელმწიფოს სიცოცხლე არ უწერია.

მოკლედ, ქართლური სეპარატიზმი კიბოს თვისებისაა. ჯერ ერთი, თვითონ არ უნდა გაიხსენოს დასაბამიერი ღვთიური ენა, რომ მოიკრიბოს ეროვნული ენერგია და მეორეც, ე.წ. მეგრელებსაც უკრძალავს ენერგიის მომცემ, მშობლიურ **„ნანას“** ენაზე მწერლობის აღდგენას და განვითარებას, რითაც კლავს იბერიულ გენს და, როცა საძიებელი არავინ ეყოლება, თვითონაც მალევე, ერთ დღეში შეწყვეტს არსებობას.

რაო, ქალბატონებო, მარიამ და ელისო, არ გსიამოვნებთ სიმართლის თქმა? ბუნებრივია, არ გესიამოვნებათ, მაგრამ, როცა არ გსიამოვნებთ მწარე სიმართლის თქმა, წარმოიდგინეთ რამდენად მტკივნეულია და მაიძულებელი მეგრელებმაც იფიქრონ თვითგადარჩენაზე, როცა მათ აბრალებენ არარსებულ სეპარატიზმს.

კუკური ფიფია,

„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ ვიცე პრეზიდენტი

P.S. გაზეთ **„ქრონიკა+“**-ის მესვეურები ქალბატონები ბრძანდებით და ვაუკაცობას და ამ წერილის გამოქვეყნებას ვერ მოგთხოვთ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდა. ასევე, საეჭვოა, თქვენს თანამოაზრეებშიც აღმოჩნდეს ვინმე რაინდული სულის ვაჟკაცი და გაასაჯაროს აქ თქმული ჭეშმარიტება, მაგრამ ამ წერილის ქსეროასლებს მაინც გავავრცელებ, რაზეც ჭეშმარიტებისადმი თქვენმა შერყვნილმა დამოკიდებულებამ მიბიძგა.

ბატონო როლანდ! საეჭვოა გაზეთ **„ქრონიკა+“**-მა გამოაქვეყნოს ეს წერილი, მაგრამ იმედია თქვენ გამოაქვეყნებთ გაზეთ **“ილორში”**.

პატივისცემით,

კუკური ფიფია

ᲣᲫᲕᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ

ჩვენ სხვა ადგილებს ინტერვიუდან აქ ვერ მოვიყვანთ,მაგრამ ამ შესავლიდანაც ნათლად სჩანს, თუ როგორი ცილობა იყო კოლხეთის გარშემო მთელი მსოფლიოს მაშტაბით, როგორც დასავლეთიდან, ასევე აღმოსავლეთიდან და შემდგომში სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაც და, რომ ის გრძელდება დღევანდელ დღემდე – ყველაფერი ეს კი ჩადებულია ნოსირის ტოპოომონიმში (შეიძლება ეს ტერმინი საუკეთესო არ იყოს, მაგრამ სხვას ვერ მივაკვლიეთ) ნოცილი, რაც როგორც უშუალოდ სოფლის, ასევე მთელი ქვეყნის სახელად შეიძლება განვიხილოთ. ისე კი საინტერესოა, რატომ აქვს ამ დღეისათვის ჩვეულებრივ სოფლის სახელს ამდენი განსხვავებული ეტიმოლოგიები. ეს ჩვენი აზრით მისი რაღაცნაირი განსაკუთრებულობიდან უნდა გამომდინარეობდეს.

მაგრამ ცილობა იყო არა მხოლოდ ქვეყნის გამო, არამედ ამ ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენელთა გამოც. ამიტომაცაა, რომ თავისი სამშობლოს დატოვება მოუხდა თვით მაცხოვარსაც და გადაიხვეწა შორეულ ქვეყანაში. იგივე მიზეზით გადაიხვეწა პალესტინაში პეტრე იბერი, შოთა რუსთაველი და ვინ იცის კიდევ რამდენმა ჭეშმარიტმა მამულიშვილმა დასტოვა იძულებით თავისი მშობლიური კერა.

აქ მახსენდება კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: **“...მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები.”**

ახლა მოვიყვანოთ ციტატა ცნობილი გერმანელი ანთროფოსოფის რუდოლფ შტაინერის წიგნიდან (“**ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება”**, თბილისი, 1994წ. გვ.48-50), საიდანაც გამოსჭვივის მთელი კოლხეთის მისტიურობა. აი, ეს ტექსტიც: **“ქრისტიანობის დამდეგს შავიზღვისპირეთში დაარსდა იდუმალთმეტყველების სკოლა, რომელსაც ის ადამიანები წარმოადგენდნენ, ბუდას მოძღვრება უზენაეს იდეალად რომ ჰქონდათ დასახული. მათი მეშვეობით ამ საიდუმლო სკოლაში ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ახლებურად გამობრწყინდა ყოველივე ის, რაც ბუდამ ადამიანებს მოუტანა, რადგანაც მათ იმავდროულად ქრისტეს იმპულსიც მიიღეს. მინდა გადმოგცეთ, თუ შინაგანად როგორ ესახება ოკულტისტს ყოველივე ზემოთთქმული, ხოლო რომ უკეთესად გამიგოთ, უპრიანი იქნება ხსნებული შავიზღვისპირეთის საიდუმლო სკოლის აღწერაც.**

აქ თავს იყრიდა ხალხი, რომელთაც თავდაპირველად ფიზიკურ პლანზე ჰყავდათ მოძღვრები, მათ ბუდიზმის საფუძვლებს ასწავლიდნენ, რაც თავის მხრივ, იმ იმპულსებითაც იყო გაჯერებული, დედამიწაზე ქრისტიანობის მეშვეობით რომ შემოვიდა. სათანადო მომზადების შემდეგ, მოწაფეთა დაფარული შესაძლებლობები, სიბრძნის იდუმალი ძალები, მოძღვართა შემწეობით, მართლზომიერად ვითარდებოდა და გარკვეულ აქტიურობას აღწევდა. ნეოფიტები სულიერ სამყაროს ნათელმხილველურ განჭვრეტას ეძლეოდნენ, ანუ შეეძლოთ სულიერი სამყაროს განცდა. პირველი რასაც მოწაფე-ნეოფიტი ამ საიდუმლო სკოლაში იუფლებდა, იყო ის, რომ ფიზიკურ პლანზე განსხვავებულ მოძღვართა მიერ სულიერად სათანადოდ განსწავლულსა და გაწვრთნილს შეეძლო შემდგომ ის სულიერი მოძღვრებაც ეხილა, რომლებიც დედამიწაზე აღარ იბადებოდნენ... შინაგანი მოწიფულობისდა მიხედვით მოწაფეები ორ კატეგორიად იყოფოდნენ. საერთოდ, სკოლაში მხოლოდ საფუძვლიანი მომზადებისა და მაღალი გამოცდილების ადამიანები იყვნენ გაერთიანებულნი; ამიტომაც, უნდა ითქვას, მათი უმრავლესობა ისეთ ნათელხილვასაც აღწევდა, რომ შეეძლო შეემეცნა ბუდა, რომელიც სულიერი სამყაროდან მთელის ძალით ესწრაფვოდა თავისი იმპულსების დედამიწაზე დამკვიდრებას, თუმც თავად ფიზიკურ პლანზე უკვე აღარ იბადებოდა. მათ უნარი შესწევდათ ბუდა მისი ყველა საიდუმლოებებითა და სულიერი მისწრაფებებით აღექვათ. მოწაფეთა უმრავლესობა სწორედ ამგვარი ნათელხილვით შემოიფარგლა, დანარჩენებმა კი შემეცნების ნიჭთან და ნათელხილვის ამ ხარისხთან ერთად გამოიმუშავეს სრულიად განსაკუთრებული სპირიტუალური ელემენტი, რაც მორჩილებიდან ლოცვის განწყობის მაღალგანვითარებული უნარიდან არ განიყოფებოდა. მოწაფეთა ამ ჯგუფის მიღწევა გახლდათ ის, რომ მათ სწორედ ხსენებულ საიდუმლო სკოლაში შესძლეს ქრისტეს იმპულსის განსაკუთრებული სიძლიერით აღქმა. მათ ისეთ ნათელხილვას მიაღწიეს, რომ შემდგომში წმინდა პავლეს საუკეთესო მიმდევრებიც გახდენ და უშუალოდ ცხოვრებიდან ღებულობდნენ ქრისტეს იმპულსს. ასე შეიქმნა საიდუმლო სკოლის ორი დაჯგუფება. ერთი დაჯგუფება ბუდას მოძღვრების მაუწყებელ და მამკვიდრებელ იმპულსს ფლობდა, თუმც თავად ბუდას სახელი, შესაძლოა, არც ეხსენებინა. მეორე ჯგუფმა კი, ამას გარდა, ქრისტეს იმპულსიც მიიღო და გაითავისა. ამ ორი კატეგორიის მოწაფეთა შორის რაიმე შესამჩნევი სხვაობა ცხოვრებაში არ გამოვლენილა. ამ სხვაობამ მხოლოდ შემდეგ ინკარნაციებში იჩინა თავი. ისინი, რომლებმაც არ მიიღეს ქრისტეს იმპულსი და მხოლოდ ბუდას იმპულსამდე ამაღლდნენ, ადამიანთა თანასწორობისა და ძმობის მოძღვრებად იქცნენ, ხოლო ისინი, რომლებიც ქრისტეს იმპულსით განიმსჭვალნენ, შემდგომ ცხოვრებაში იმგვარი შინაგანი მიზანსწრაფულობით განსხეულდნენ, რომ ადრე მიღებულმა ქრისტეს იმპულსმა მათ ახალ ინკარნაციაში განაგრძო მოქმედება და ისინი არა მარტო მოძღვრავდნენ და ასწავლიდნენ ხალხს – ეს არ იყო ძირითადი ამოცანა – არამედ ადამიანებზე თავიანთი უნარისა და მორალური ძალის მეოხებითაც ზემოქმედებდნენ.”

შავიზღვისპირეთის საიდუმლო სკოლა, ეს იგივე ფაზისის (კოლხეთის) აკადემიაა და როგორც შტაინერი შემდგომ აღნიშნავს ფრანციისკო ასიზელი თავის წინა ინკარნაციაში სწორედ შავი ზღვის პირზე არსებული საიდუმლო სკოლის ერთ-ერთი ნეოფიტი (მოწაფე) გახლდათ, რომლის სამშვინველი ქრისტეს იმპულსის ძალით იყო გამსჭვალული.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ მაშინდელ კოლხეთს (იბერიას) აღთქმულ მიწასთან აკავშირებდა რაღაც უხილავი სულიერი ძაფები. მარტო ის რად ღირს, რომ როგორც ჩვენს სტატიაში **“ქრისტეს კვართის შესახებ”** (ჟურნალი **“ცოტნეიდელი”**, 2012, გვ. 124-129) მიკვლეულია წყარო, რომლის მიხედვითაც: **“უფლის უკერავ კვართზე წმინდა ეფრემი ამბობს, რომ წილი ყარეს ჯარისკაცებმა (იგულისხმება ჯარისკაცები, რომლებიც ესწრებოდნენ ქრისტეს ჯვარცმას-ნ.კ.), რათა არ დაეგლიჯათ ის, და კვართი წილისყრით შეხვდა ერთ ჯარისკაცს, ლონგინის (გინკიანის) ხელქვეითს. აიღო ის ასისთავმა ლონგინმა, მიიტანა გალატეაში, თავის ქალაქ მაქსონში, სადაც პატივს სცემენ მას (კვართს) დღევანდლამდე.**

მეორე ასისთავმა, ლაზმა ტანსაცმლის თავისი წილი მიიტანა თავის ქალაქ ფოთში (პუდში), სამეგრელოს დედაქალაქში (ეგერთა ქვეყანაში): (სამოსელის ეს ნაწილი) ჩადეს შუშის ჭურჭელში და ჩამოკიდებულია ეკლესიაში, ყველასათვის მიუწვდომელ და ყველასათვის ხილული...”

“რომელი სამოსი შეხვდა ლაზს, – წერს ნ.მარრი – არც ისე გასაგებია; ალბათ იგივე, კვართი, რადგანაც უშუალოდ ლაზის შესახებ მონათხრობის შემდეგ ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ “ეს უკერავი კვართი” და ა.შ.” (Марр Н. 1897, “Хитон Господень в книжниых легендах Армян, Грузин и Сирийцев,” сборник статьей учеников профессора Бар. В.Р. Розена, Санкт-Петербург, 1897).

გასაგებია, რომ ლაზმა ასისთავმა კვართი ჩაიტანა ფოთში, რადგანაც თვითონ სტატიაში ნათქვამია: ფოთი იყო სამეგრელოს დედაქალაქი, თუმც უნდა ითქვას ისიც, რომ ფოთი ნოსირიდან ერთი ხელის გაწვდენაზეა.

დაბოლოს ვიტყვით, რომ როდესაც საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას კითხვა დაუსვეს წაკითხული ლექციის (**“საქართველოს სულიერი მისსია”**) შემდეგ (ლექცია წაკითხული **“იდრიარიტის”** ფესტივალზე თბილისში, ფილარმონია, 2 მაისი, 1990წ.), თუ რა კავშირშია ლაზარესა და ქართულ ენას შორის, მისი პასუხი იყო შემდეგი:

“ლაზარეს აღდგინება იოანე-ზოსიმესთან ნიშნავს აღდგინებას ქართველი ერისას, ქართველური მოდგმისას, მარტო ქართველი ერის კი არა, მთელი ქართველური მოდგმისას იმ განფენილობით, როგორც ის იყო წარმოდგენილი პრეისტორიულ ხანაში, ანუ ლაზარეს დაძინებამდე, ანუ მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში ეს მოდგმა შემცირდა, განადგურდა ინდოევროპელების მიერ და დარჩა მხოლოდ პირინეებზე, მცირე აზიაში, კავკასიაში. ხოლო აღდგომა იქნება ისევ აღორძინება ამ მოდგმისა, ისევ იმავე პოზიციას დაიბრუნებს ეს მოდგმა და ეს ერი, რომელიც მას გააჩნდა პრეისტორიულ ხანაში, ე.ი. წამყვანი მოდგმის პოზიციას კაცობრიობის სულიერი მოდგმის პოზიციას. აი, ეს იგულისხმება სწორედ იმაში, რომ მეორედ მოსვლის დროს ღმერთმან უნდა ამხილოს ყველა ენასა ამით ენითაო, როგორც ამბობს იოანე-ზოსიმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს მოდგმა იქნება მთავარი მატარებელი სულიერებისა, ქრისტიანობისა და ის ამხელს დანარჩენ ცოდვილ კაცობრიობას.”

მაშინ ასრულდება ბათლომე სართანიას ოცნება და არამარტო მისი, რომელზეც ზემოთ ვთქვით და აქაც გავიმეორებთ:

„მეგრელთა შორეული ისტორია კოლხეთის მიწას აბარია, ვინ გაუღებს კოლხეთის მიწას გულის სეიფს? ვინ აადგმევინებს ენას კოლხეთის მიწებსა და ძეგლებს? ვინ ამოთხრის ანაკლიაში კოლხეთის უძველეს ქალაქ ჰერაკლეს? ვინ დაიჭერს ფაზისიდან ლიხის ქედამდე და ტრაპიზონიდან ტუაფსემდე გაჭენებულ კოლხეთის მერანს? ვინ დალევს მდ. ევფრატის წყალს მეგრელი ტობალების სადღეგრძელოდ? ყველაფერი ეს ჩვენმა მეცნიერებმა უნდა გააკეთონ, ისტორიული ჭეშმარიტება მოითხოვს – შესდგეს ქართველი ერის ახალი ისტორია, მეგრელი ხალხის შორეული ისტორიიდან მოყოლებით”.

ბოლოთქმა: მახსენდება, ჩემს ბავშვობაში, ერთხელ, ვკითხე მამაჩემს თუ რატომ ეწოდება მეთქი ჩვენს სოფელს ნოსირი. მისი პასუხი იყო, რომ აქ ბევრი ისლი ხარობდაო (ისლი მეგრულად არის ისირი) და ამიტომ შეარქვესო ნოსირი, ანუ ნაისლევი და კიდევ ისიც თქვა, რომ გამიგია ეკლესია ყოფილაო, ერთი – **“ლოსირი”** და იქედან მოდისო ჩვენი სოფლის სახელი.

როგორც ზემოთ დავრწმუნდით მხოლოდ ეს ორი ტოპოომონიმი და მათგან გამომავალი ეტიმოლოგიები არ განსაზღვრავს ნოსირის სახელს და როგორც დავინახეთ ამ ეტიმოლოგიათაგან ერთ-ერთი დაკავშირებულია თვით მაცხოვრის სახელთან. ამის გამო ახლა უფრო მომინდა ნოსირში წასვლა და ჩვენი სახლის ნახვა. შემდეგ მეზობლებთან და ნათესავებთან გასაუბრება. თუ რა იციან მათ **“ლოსირის”** ეკლესიის შესახებ, რომელიც ალბათ წმინდა სტეფანეს სახელობის ეკლესია უნდა იყოს. მომინდა, რომ მათთან ერთად მივაკვლიო ონოგურისის ციხე-სიმაგრის ნანგრევებს. მომინდა მოვიარო ნოსირის შარა-გზები და ვიგრძნო ის აურა, რომელიც გადმოდის მაცხოვრისაგან საუკუნეების შემდეგაც კი, რომელსაც აქ გაუტარებია თავისი ბავშვობა და ვინ იცის კიდევ რამდენ საიდუმლოებას ინახავს ეს ღვთისაგან კურთხეული მიწა. მინდა ვუთხრა ყველას, რომ ეს წმინდა მიწაა და რომ ნოსირლობა დიდი წოდებაა. შემდეგ მივალ სასაფლაოზე და მოვინახულებ ჩემს წინაპრებს, პატივს მივაგებ მათი სულების ხსოვნას. და კიდევ ერთი, ჩემი უკვე დიდი ხნის ოცნებაა დავბრუნდე ნოსირში და იქ გავატარო ჩემი სიცოცხლის დარჩენილი დრო. ვნახოთ, თუ როგორ შევძლებ ამას.

ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲙᲕᲐᲨᲘᲚᲐᲕᲐ

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲐᲗᲘᲠᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ

თქმული დებატებსა და დაპირებებზე მონიტორინგით, ანუ, ქართულად რომ გადმოვაენოთ, დამკვირებელთა დაკვირებებით დებატები

ᲨᲐᲕᲘ ᲙᲔᲜᲭᲔᲑᲘ

თავს მოხვეული არჩივით
მომსწრე ვარ მრავალ მძიმე დღის,
მაგრამ, ღმერთმანი,არ ვჩივი,
რადგან დღემდე მაქვს იმედი,
რომ ვინც სიმწარე გვანახა,
აწი კვანტს ვეღარ გამოგვდებს
და 8 ოქტომბერს ვაახლეთ
კენჭისყრით შავზე შავ ლოდი!

ᲧᲣᲠᲛᲝᲙᲠᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ

– რად სძულს „ოდესელს“ დინჯი ყმა,
რატომ აგინებს, რა პირით?
– მიტომ რომ, მაგრა მიჯრიყვნა
ეგ სისხლისმსმელი ვამპირი!

„ᲠᲣᲡᲗᲐ-ᲕᲝᲠᲘ“

„ქალბატონო კარაკოზა, შეიცვალო
უნდა პოზა!“
ᲑᲐᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲡᲚᲝᲒᲑᲐᲜᲘ

რადგან შვენის ვერას „მუზა“,
მის სიწმინდეს ვერას უზამს,
ვერც სხვა, ვერც ის კარაკოზა,
ვინც იცვლიდა ხშირად პოზას,
მაგრამ დარჩა ქარაგოზად!*

თვალებს მაინც აბრიალებს
და ნაცებს რომ აპიარებს,
რადგან არის „რუსთა-ვორი“,
არ ახსოვდეს, არა მგონი,
ვინ გაყიდა ახალგორი.
და კოდორი

დღემდე მაინც შერჩა პოზა
გვარამია ქარაგოზას,
და ნიანგის ცრემლი სდისა
მაოხრებელს „იმედისა“!

***ქარაგოზა-ქვაზე გაკრული წვრილი ხავსი (საბა)**

ხიხო-მიხოს „მაინ კამფი“
მოლაყბედ რომ დასვა სანდრა,
მკვლელად ხალხს სხვა მიუსია,
აკა გახდა მთავარსარდლად
და ეს უკვე ნიუსია.
ჩქარობს მიხო, ხელი გაკრას,
რაც მსვრევადი მინასია
და ნდობს ქართულ სულის ჩაკვლას
რულოვსსა და მინასიანს!

საქართველოს დამსახურებული მხატვრის მურთაზ აბაშიძის კარიკატურები:



„წინასაარჩევნო დაპირებები“

– ამბობენ კორუმპირებულებს წყალი შეუდგათო.

– კიდევ კარგი, აკვალანგები გვაქვს, თორემ დავიხრჩობოდით!

ილორი

აშშ ცენტრალური საადაზვერვო სამმართველოს 1945 წლის დირექტივა

(ალენ დალესის დოქტრინა)

"...ჩვენ ჩავდებთ ყველაფერს, რაც გაგვაჩნია. მთელ ოქროს, მთელ მატერიალურ სიმძლავრეს და რესურს ხალხის გამოთაყვანებისა და გასულელებისათვის. ადამიანის ტვინი და გონება ექვემდებარება ასეთ ცვლილებას. რუსეთში ქაოსის დათესვით ჩვენ შეუმჩნევლად გავაყალბებთ მათ ღირებულებებს და ვაიძულებთ ეს ყალბი ღირებულებები ირწმუნონ. ჩვენ ვიპოვნით ჩვენს თანამოაზრეებს და მოკავშირეებს თვითონ რუსეთში. თანდათანობით გათამშდება თავისი მასშტაბებით გრანდიოზული ტრაგედია დედამიწაზე არსებული ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხების მოსპობისა, მათი თვითმყოფადობის საბოლოო ჩაქრობასა და განადგურებამდე.

ლიტერატურისა და ხელოვნების მეშვეობით გონებიდან თანდათანობით ამოვშანთავთ მათ სოციალურ რაობას, გავაუცხოებთ ხელოვნებას, დავუკარგავთ სურვილს გამოსახონ ის პროცესები, რომლებიც ხალხის მასათა სიღრმეში მიმდინარეობს.

ლიტერატურა, თეატრი, კინო, პრესა (იმ დროს ტელევიზია ამ შესაძლებლობებს არ ფლობდა) დაიწყებენ ადამიანის ყველაზე ბინძური ინსტინქტების განდიდებას, ყოველნაირად მხარს დავუჭერთ ისეთ მხატვრებს, რომლებიც შეეცდებიან ადამიანის გონებაში დაამკვიდრონ სექსის, ძალადობის, სადიზმისა და დალატის კულტი, ყოველგვარი უხამსობა და უზნეობა.

სახელმწიფო მმართველობაში დავნერგავთ ქაოსსა და განურჩევლობას, შეუმჩნევლად მაგრამ აქტიურად და გამუდმებით ხელს შევუწყობთ ჩინოვნიკების თვითნებობას, მექრთამეობას, უპრინციპობას. ბიუროკრატიზმს და ჩხირკედელაობას ავიყვანთ კეთილმყოფელობის რანგში. დაცინვის საგნად გავხდით პატიოსნებასა და მოვალეობის ერთგულებას, ისინი აღარავის დასჭირდება, გადაიქცევიან წარსულის გადმონაშთებად. უზნეობა და თავხედობა, სიცრუე და მოტყუება, ლოთობა და ნარკომანია, ერთმანეთისადმი ცხოველური შიში, უსირცხვილო დალატი, ნაციონალიზმი და ხალხთა შორის მტრობა, პირველ რიგში მტრობა და სიძულვილი რუსების მიმართ — ეს ყველაფერი შეუმჩნევლად და მოხერხებულად დაინერგება ჩვენს მიერ და აყვავდება პირწავარდნილი ქვეწარმავლობით.

მხოლოდ ცოტანი, ძალზე ცოტანი თუ მიხვდებიან რაც ხდება სინამდვილეში. ასეთ ადამიანებს ჩავაყენებთ უმწეო მდგომარეობაში, გავხდით მათ სასაცილოდ, ვიპოვით საშუალებას მათ გასაუვნებელსაყოფად და გამოვაცხადებთ მათ საზოგადოების სანაგვეზე გადასაყრელად (რაც ჩვენს სინამდვილეში წარმატებით განხორციელდა).

ამგვარი გზით მივაღწევთ რომ შევარყიოთ თაობები, ვიბრძოლებთ ბავშვობისა და ყრმობის წლებში ახალგაზრდობის გახრწნის, დამახინჯებისა და გარყვნისათვის..."

დალესის ეს დოქტრინა 60 წლის წინ დაიწერა, რაც ისტორიული თვალსაზრისით მცირე დროა. ბევრმა ალბათ არ იცის და ვერც მოთხოვ — მეორე მსოფლიო ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა ჩერჩილს რუსეთთან ომის დაწყება ჰქონდა განზრახული. ამ დროს რამოდენიმე ათეული გერმანული დივიზია სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდა. ჩერჩილს სწორედ ამ დივიზიების გამოყენება ჰქონდა გამიზნული. მის ამ განზრახვას ხელი შეუშალა ინგლისში ჩატარებულმა არჩევნებმა — ის, უბრალოდ, პრემიერ-მინისტრად აღარ აირჩიეს. ასეთივე მცდელობა ჰქონდა ატომური ბომბის მქონე ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაგრამ სერიოზული მოკავშირეების გარეშე ვერ გაბედა დიდი მაშტაბური ომის წარმოება ისეთ ძლიერ ქვეყანასთან როგორიც სსრკ იყო.

ამის შემდგომ ქმედება დაიწყეს დალესის დოქტრინის მიხედვით, რომელიც ისტორიაში ცივი ომის სახელით არის ცნობილი. დალესის პროგრამაში ვკითხულობთ: **„თანდათანობით გათამაშდება თავისი მაშტაბებით გრანდიოზული ტრაგედია დედამიწაზე არსებული ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხის მოსპობისა, მათი თვითმყოფადობის ჩაქრობა-განადგურებამდე“.** ამ მიზნის მისაღწევად ამერიკა დღემდის იყენებს დიდ და პატარა ომებს. კორეა, ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა, ავღანეთი, ერაყი, ბალკანეთი საქართველო, ლიბანი, ამჟამად სირია და უკრაინა. ცივი ომის დასრულების შემდეგ შეიქმნა ერთპოლუსიანი სამყარო და როგორც ამ ომში გამარჯვებული სახელმწიფო — ამერიკა — ერთპიროვნულად წყეტს მსოფლიო ხალხების ბედს. **"არაბული გაზაფხული",** ვარდების, წითელ-ყვითელი და არ დარჩა ფერები, — რევოლუციები. ყოველივე ამას წინ უსწრებდა ალენ დალესის პროგრამით გათვალისწინებული მოსამზადებელი სამუშაოები.

ამერიკელებს ჩვენთან დალესის დოქტრინის ყველა პუნქტი ზედმიწევნით შესრულებული აქვთ. ალბათ ამ დოქტრინის ნებისმიერი წამკითხავი გაიგებს მის არსს, მაგრამ ბევრს შეიძლება გაუკვირდეს, როგორ მოახერხებენ ამერიკელები სექსით ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხის მოსპობას, მათი თვითმყოფადობის საბოლოო ჩაქრობასა და განადგურებას? როგორ დანერგავს სახელმწიფო მმართველობაში ქაოსს და განურჩევლობას? ჩვენ ხომ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ და ჩვენი მეგობარი ქვეყნების მიერ მოწოდებულ აგურებს მათივე მკაცრი კონტროლის ქვეშ ვაწყობთ. ვიღებთ იმ კანონებს რასაც ისინი **„გვატენიან“.**

ჩვენ ქართველები, და არა მარტო ქართველები, სულ მცირე დროში იმ დონემდე დავეშვით, რომ ჩვენს გარშემო მიმდინარე მოვლენებს და ღირებულებებს გონებადაბინდულნი უკვე ახალი თავსმოხვეული რწმენით, ყოველგვარი პროტესტისა და წინააღმდეგობის გარეშე, ორგანულად აღვიქვავთ. რწმენა ამახინჯებს გონებას. გონება რწმენის გამო მოვლენების შეფასებსა და აღთქმაზე უარს ამბობს. ადამიანის ტვინი — ეს დიდი კომპიუტერია, რომელიც, როგორც გენეტიკური, ასევე შეძენილი პროგრამებით იმართება. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში დალესს, როცა ამბობდა: **„ჩვენ ჩავდებთ ყველაფერს, რაც გაგვაჩნია. მთელ ოქროს, მთელ მატერიალურ სიმძლავრეს და რესურს ხალხის გამოთაყვანებისა და გასულელებისათვის. ადამიანის ტვინი და გონება ექვემდებარება ასეთ ცვლილებას“.** მარტივი მაგალითი: ადამიანი ნიღბის ორივე მხარეს ამობურცულად აღიქვამს. ადამიანის გონებაში ჩატვირთული პროგრამა, რომ ჩაბურცული სახე არ არსებობს, ადამიანს არ აძლევს სურათის რეალურად აღქმის საშუალებას.

რა შუაშია სექსი? ალბათ ბევრმა არც იცის 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის არსი, რევოლუციის წინა პერიპეტიები, რაც ხალხისგან ამდენი ხნის განმავლობაში დამალული იყო. ოქტომბრის რევოლუცია ორი მიმართულებით ვითარდებოდა. პირველი იყო კერძო ქონების ნაციონალიზაცია და მეორე — სექსუალური რევოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყანაში ე. წ. **„თავისუფალი სიყვარულის“** დამკვიდრებას. სოციალ-დემოკრატებს სექსუალური რევოლუციის იდეა თავიდანვე ჰქონდათ პროგრამაში ჩადებული. ჯერ კიდევ ლონდონში სოციალ-დემოკრატების ყრილობის დროს, აღნიშნული მიმართულებით მუშაობა სოციალისტებმა ტროცკის დაავალეს.

1917 წლის 9 აპრილს გერმანიიდან რუსეთისკენ გამოვიდა მატარებელი, რომლის ერთ-ერთ კუპეში იმყოფებოდა სამი პიროვნება: ხუთი შვილის დედა ინესა არმანდი, ლენინი და ნადეჟდა კრუპსკაია. რევოლუციის შემდეგ, სწორედ ინესა ხელმძღვანელობდა, ტროცკთან ერთად, ქვეყანაში ოქტომბრის სექსუალურ რევოლუციას, იცავდა ქალთა უფლებებს. რევოლუცია ითვალისწინებდა როგორც ქონების, ასევე ოჯახის ქალის ნაციონალიზაციას. ქალი რომელიც იყო ასაკით 17 წლიდან 32 წლამდე, ჰყავდა არა უმეტეს 5 შვილისა, თავისუფლდებოდა ოჯახური ცხოვრების მონობიდან და გადადიოდა საერთო სახალხო საკუთრებაში. ამ პერიოდში სარატოვის, კრონშტადტის და ვლადიმირის გუბერნიების საბჭოს დეპუტატებმა გამოაქვეყნეს დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებდა ქალის მიმართ სხვადასხვა წარმომავლობის მამაკაცების უფლებებს.

თავისუფალი სიყვარულის მორევში თავით გადაეშვა იმ დროის ინტელიგენცია და რაოდენ საკვირველიც არ უნდა ოყოს, მათ შორის მეცნიერებიც. გაჩნდა ჭიქა წყლის თეორია და ეგრეთ წოდებული სიყვარულის სამკუთხედები. ცნობილია მაიაკოვსკის, ქალბატონ ლილიას და მისი მეუღლის იოსებ ბრიკის სამკუთხედი. მწერლები ე.წ. სასიყვარულო კოშკში — მწერალთა თავშეყრის ადგილი ლენინგრადში, ლიტერატურულ საღამოებთან ერთად ორგიებს აწყობდნენ. მათ შორის ბლოკი, ანდრეი ბელი და ცნობილი დიდი ქიმიკოსის მენდელეევის ქალიშვილი. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს თავისუფალ სიყვარულს მთელი გულით თანაუგრძნობდა იმ დროს ახალგაზრდა, შემდგომში ცნობილი ნობელიანტი, ფიზიკოსი ლევ დავითის ძე ლანდაუ.

1920 წელს გამოსცეს კანონი აბორტის შესახებ, რომელიც ქალს აძლევდა სრულ თავისუფლებას ჩანასახის მოშორებაზე.

ქვეყანაში გაჩნდა უამრავი ვენერიული დაავადება. ადამიანთა აღვირახსნილი ცხოვრება გრძელდებოდა. ინესას გარდა გაჩნდა კოლონტაი, კლარა ცეტკინი, როზა ლუქსემბურგი, რომლებმაც თავისუფალ სიყვარულს სხვადასხვა თეორიული თუ პრაქტიკული მიმართულებები მისცეს. შექმნეს სხვადასხვა სიდიდის კომუნები, სადაც რამოდენიმე ათეული ქალი და კაცი ერთად ცხოვრობდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა ბავშვი ვისგან დაიბადებოდა, მათ გაზრდას სახელმწიფო იღებდა თავის თავზე. ასე გაჩნდა ქვეყანაში ინტერნატები. კომკავშირელ ქალს (კომსომოლკა) რომელიც უარს იტყოდა სექსზე, კომკავშირიდან რიცხავდნენ, იმ მოტივით, რომ ის არ გამოადგებოდა ქვეყანას კომუნიზმის აშენებაში. იმ დონემდეც კი მივიდნენ, რომ სირცხვილად გამოაცხადეს ტანსაცმლით სიარული და ჯგუფებად, შიშვლები, ტანზე წითელ ლენტგადაკრული, წარწერით **„ძირს სირცხვილი“,** დიდ ქალაქებში მოედნებზე ჯგუფურად დარბოდნენ. ახლა ჩვენთან ამ მიმართულებით სხვა მოდგმის ხალხი ძალადობს.

რადგან სექსუალური რევოლუცია ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი მონაპოვარი და ძირითადი მიმართულება იყო, ბუნებრივია, უნდა ჰქონოდა იდეოლოგიური საყრდენი, რომელიც კულტურული ცხოვრების წესში უნდა ასახულიყო. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა მხატვრობაში, მწერლობაში. განსაკუთრებით საინტერესოა კოლონტაის გამოცემული შრომები: **"სიყვარული და ახალი მორალი", "ეროტიკული მეგობრები", "სექსუალური კომუნიზმი"** და სხვ. ცნობილია ტროცკის წერილები, სადაც იგი ოჯახს მოიხსენიებს როგორც ბურჟუაზიულ გადმონაშთს. საყურადღებოა ერთი ფაქტი, რომელიც ეხმიანება ჩვენს დღევანდელ ყოფას. სექსუალური რევოლუციის მამებმა დაიწყეს სკოლაში ბავშვების სექსუალური აღზრდა 12 წლის ასაკიდან, რისთვისაც გერმანიიდან სპეციალურად შემოიყვანეს მასწავლებლები. ბუნებრივია მასწავლებლების რაოდენობა არ ყოფნიდათ. არ არის ცნობილი რა სახის მასალას, როგორ აწვდიდნენ ბავშვებს. ჰქონდათ თუ არა პრაქტიკული გაკვეთილები.

ალბათ ყველას გვახსოვს ჩვენთან ყოჩაღმა ბიჭებმა როგორ მოინდომეს ბიზნესის კეთება და ამ მიმართულებით დაიწყეს წიგნების გამოცემა, რომ არა საზოგადოების (მართალია მცირე ნაწილის, რადგან ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ზოგი ფოჩიანი კამფეტებით მოისყიდეს, ზოგი გააქციეს, ბევრი ფიზიკურად მოსპეს) აქტიურობა, ალბათ დღეს სკოლებში სექსოლოგიის, ისევე როგორც უცხო ენის სწავლება, აუცილებელი გახდებოდა. სხვანაირად ვერ შეაღებდი უმაღლესის კარს. აი, შემოთრეულ მასწავლებლებთან კი საზოგადოებამ ვერაფერი გააწყო. ქვეყანა უმუშევრობაშია ჩაფლული, თითქოს თავზე გადმოგვდიოდეს, ჩვენ სხვას ვასაქმებდით. ჩემი აზრით, ეს ქვეყნის ანექსიის იმავე სახის ქმედება იყო, როგორც უცხო სექტებისა და ათასი რჯულის წარმომადგენლების შემოდინება, ვისაც ასე ფართოდ გაუღეს ქვეყნის კარი.

ახლოვდებოდა 1929 წელი. სტალინმა ხელში აიღო ძალაუფლება. ჩატარებული საერთო სახალხო აღწერით აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდის მთელი თაობა ამოვარდნილი იყო. მკვეთრად შემცირდა მოსახლეობა. ჩამოყალიბდა მმართველობის უდიდესი მონსტრი, თავისი აპარატებითა და ჩინოვნიკებით, რომლებიც ქვეყანაში სექსუალური რევოლუციის დაცვა-განმტკიცებას ემსახურებოდა.

ძალაუფლების აღებისთანავე სტალინმა მოსპო ოქტომბრის სექსუალური რევოლუციის მონაპოვარი და ოჯახის კულტი იმ დონეზე აიყვანა, რომ საბჭოთა კავშირში სექსი თავისი გაგებით აღარ მოიხსენებოდა, დაფარული იყო. ალბათ ბევრს ახსოვს გორბაჩოვის მმართველობის დროს, ამერიკა სსრკ-ს შორის გამართული ე.წ. ტელეხიდი, როდესაც ამერიკელმა ქალბატონმა იკითხა თუ რა რეკლამას უწევდნენ სექსს რუსეთში. რუსი ქალბატონის პასუხმა, რომ ჩვენთან სექსი არ არსებობსო, ამერიკელ მსმენელებში დიდი მხიარულება გამოიწვია. (მასალები მოყვანილია 2014 წლის RNT გადაცემიდან **„სიყვარულის ისტორია“**).

„მმართველობაში დავნერგავთ ქაოსსა და განურჩევლობას, შეუმჩნევლად მაგრამ აქტიურად და გამუდმებით ხელს შევუწყობთ ჩინოვნიკების თვითნებობას, მექრთამეობას, უპრინციპობას. ბიუროკრატიზმს და ჩხირკედელაობას ავიყვანთ კეთილმყოფელობის რანგში. დაცინვის საგნად გავხდით პატიოსნებასა და მოვალეობის ერთგულებას, ისინი აღარავის დასჭირდება, გადაიქცევიან წარსულის გადმონაშთებად“. როგორ ახერხებენ ყოველივე ამას? შედარებით ახალ მეცნიერებას, რომელსაც ეთოლოგია ჰქვია და დიდი სოციალური შემეცნების მატარებელია, არ გვასწავლიდნენ. მისი გაცნობა და შესწავლა, რომელიც ცხოველთა ინსტიქტურ, თანდაყოლილ, გენეტიკურ პროგრამებზეა დაფუძნებული, ადამიანთა ქცევების ყველა ქმედებაზე ამომწურავ პასუხს იძლევა.

აქედან, ჩვენთვის საინტერესოა იმ ცოცხალი ბუნების ცხოვრების წესი, რომლებიც საზოგადოებებს ქმნიან, თუ რა სტრუქტურები შეიძლება არსებობდეს, რა და როგორ ვრცელდება ადამიანთა საზოგადოებაზე? მეცნიერები, მაგალითად იყენებენ მტრედების გუნდს. ამ გუნდში დომინირებს პირველ ნომრად ყოფნის სტატუსი, რაც შეტაკებების საშუალებით ირკვევა. ყველას დამმარცხებელი მტრედი დომინანტი ხდება. საფეხურის ქვემოთ მას სუბდომინანტი მიყვება და ასე შემდეგ — უმდაბლეს რანგამდე. დომინანტი ხანგამოშვებით უნისკარტებს სუბდომინანტს. ეს უკანასკნელი აგრესიას მის ქვემოთ მდგომისაკენ მიმართავს და ბოლოს აგრესია მიაღწევს ბოლო საფეხურზე მდგომ მტრედებამდე. ეს უკანასკნელები აგრესიას მიწაზე და უსულო საგნებზე ხარჯავენ. ასე წარმოიქმნება პირამიდა, რომლის ბოლო საფეხურზე, ძირზე **„ნაძირალები“** არიან. დაჩაგრულ-დაბეჩავებულმა ცხოვრებამ ისინი ნაკლებად სასიამოვნო არსებებად აქცია. მათში დაგროვილია უამრავი დაუხარჯავი აგრესია, რასაც ზემდგომი მტრედების წინაშე მლიქნელური ქცევით ფარავენ. თავის ნებაზე მიშვებული ადამიანთა ჯგუფი სწორედ ასეთი იერარქიული კანონით ლაგდება. ეთოლოგების დაკვირვებით დომინანტი შეიძლება იყოს ფიზიკურად ძლიერი და სუსტიც, გულდვარძლიანი და წყენის მალე დამვიწყებელიც, შეიძლება ზრუნავდეს თავის ჯგუფზე ან გულგრილი იყოს მის მიმართ.

ვინ და როგორ შეიძლება, ან რა გზები არსებობს, რომ ჯგუფში გახდე დომინანტი? ეთოლოგები, ყვინჩილებზე ჩატარებულ ცდებში, ჯგუფში ყველაზე დაჩაგრულს და გაუბედურებულს ირჩევენ, თავზე უზარმაზარ წითელ ბიბილოს, მაღალი იერარქიული რანგის სიმბოლოს უკეთებენ და ისევ ჯგუფში უშვებენ. ყვინჩილამ არ იცის რა უკეთია თავზე და ძველებურად საწყლად იქცევა. ჩასანისკარტებლად მიახლოვებული თანამოძმენი, უზარმაზარი ბიბილოს დანახვაზე უკან იხევენ. ხედავს რა ყვინჩილა მათ გაუბედაობას, იბღინძება, თავს მაღლა სწევს, მკერდს გამოზნექს და ნაბიჯ-ნაბიჯ ადის იერარქიული კიბის თავზე. გავა რამდენიმე ხანი, ბიბილოს მოხსნიან და იგი ისევ პირამიდის ფსკერზე ეშვება. მსგავს ცდებში ბუნებრივ დომინანტს სახვევით გადაუკრავენ ბიბილოს. მისი როგორც დომინანტის ყველა თვისებების მიუხედავად, იგი ფსკერზე აღმოჩნდება. ფსკერიდან წამოსული დომინანტად დანიშნული ყვინჩილები უფრო მეტად ულმობელნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ბუნებრივი დომინანტები, რადგან ისინი უფრო მხდლები არიან, დაგროვილი აქვთ უდიდესი აგრესია, რის გამოც ქვეშევრდომებს უფრო მეტად ავიწროვებდნენ. ალბათ ჩვენს ყოფაში ყველა ამოიცნობს იმ ბიბილო გადაკრულ ყვინჩილებს და მათ ქცევებს, რომლებიც ჩვენმა **„მეგობარმა“** ქვეყნებმა დაგვისვეს. რამდენჯერაც სცადა ქართველმა ხალხმა ამ ბიბილოს ჩამოგლეჯა, იმდენჯერ ახალი ბიბილო გაუკეთეს და მოარგეს.

რომან კენკიშვილი,
მეცნიერებათა დოქტორი,
(დასასრული შემდეგ ნომერში)

ტერორიზმი დაუძლეველი სენია

„მე, ვარ ნიცა!“ – ისევ გაისმა მსოფლიო საზოგადოებისთვის ცნობილი განცხადება – გამოქვეყნებული ფრანგულ ჟურნალ-გაზეთებში – ეროვნული დღესასწაულის, ბასტილიის აღების მეორე დღეს. განცხადება თუ გულის სიღრმიდან ამოსული ძახილი?!

მორიგმა ტერორისტულმა აქტმა, რომელიც სახელგანთქმული ნიცის სანაპირო ბულვარში განხორციელდა, 90-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 100-ზე მეტი დაჭრა-დაასახიჩრა.

რაღაც გახშირდა **„მე, ვარ შარლი!“**-ს მსგავსი განცხადება, რომელიც ფრანგული ჟურნალის **„შარლი ებდოს“** ტერაქტს მოჰყვა. უკვე მერამდენედ გვესმის – **„მე, ვარ პარიზი!“, „მე, ვარ ბრიუსელი!“, „მე, ვარ!..“**. უკვე მერამდენედ ინთება საზღვარგარეთის ქვეყნების დედაქალაქების ღირშესანიშნაობები მგლოვიარე ქვეყნის დროშის ფერებით. უკვე მერამდენედ უსამძიმრებენ ტერაქტით დაზარალებული ქვეყნის ხელისუფალთ და ხალხს სხვა სახელმწიფოთა მეთაურები.

ტერორისტული აქტების ინტენსიურობამ თავისთავად გამოიწვია სამძიმრის ინტენსიურობა და თუ ასე გაგრძელდა, სამძიმარში გაჩნდება ტრაფარეტულობა, აუცილებლობით გამოწვეული ვალის მოხდის სახით, რომელიც გულწრფელ სამძიმარს ჩაანაცვლებს. ხალხი ყველაფერს ეჩვევა – ომს, ნგრევას, ტერაქტს და ა.შ. ერაყი, სირია, პაკისტანი, ავღანეთი, სხვები ისე მიეჩვივნენ ტერაქტებს, თითქოს ჩვეულებრივი რამ იყოს. სულ ახლახანს, ბაღდადის ტერაქტმა 200-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სერიოზული მსხვერპლი მოჰყვა სტამბოლის, ბანგლადეშის ქ. დაკის (Dacca) ტერაქტს.

დღე ისე არ ჩაივლის, ტერაქტმა თავი არ შეგვახსენოს, რაც რაღაც სერიოზულს ნიშნავს – არაერთჯერად აქტს, შურისძიებას. ეს, ომია, თანაც უხილავი, წინასწარ გამოუცნობი, ამოუხსნელი. ტერაქტის გამოცნობა ლამის მიწისძვრის გამოცნობას გაუტოლდა ანუ ამოუხსნელობას.

სახელმწიფოთა მიერ ტერაქტის აღსაკვეთად შემუშავებული ზომები უდიდეს თანხებს საჭიროებს, ძალთა მობილიზაციას, წარმოუდგენელ დისციპლინას, რაც თავისთავად აფერხებს ტერორისტული აქტების განხორციელებას. დიახ! აფერხებს, მაგრამ ვერ აღკვეთს, რამეთუ თავზეხელაღებული ტერორისტი, მიუხედავად მკაცრი კონტროლისა, მაინც ახორციელებს ამას.

ეს, იმ შემთხვევაში, როდესაც ყველაფერი კონტროლდება. ასე კონტროლდებოდა საფრანგეთიც, მაგრამ მიუხედავად ამისა, მერამდენე ტერაქტის მსხვერპლი გახდა ის?! ზოგი აცხადებს, რომ ეს ქვეყანა ისე არ კონტროლდება, როგორც საჭიროა. და მართლაც – გაგანია კონტროლის პირობებში, რაც ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატს ახლდა, უცნაურ ფაქტს ჰქონდა ადგილი.

მკაცრად დაცულ ეიფელის კოშკში 2 რუსი სიმაღლეზე მცოცავი ახალგაზრდა შეიპარა და გვიან ღამით დაიწყო კოშკის **„დაპყრობა“**. მათ, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, მიაღწიეს კოშკის მწვერვალს და ღამე გაათიეს იქ. მხოლოდ დილით შენიშნეს კოშკის გუშაგმა პოლიციამ უცხო პირები კოშკის წვერში, რომლებიც თვით ჩამოვიდნენ კოშკიდან და პოლიციას ჩაბარდნენ. რუსმა ყმაწვილებმა ეიფელის კოშკის **„დაპყრობა“** ინტერნეტში გამოკიდეს. რუს **„რუფერებს“** (სახურავზე მცოცავებს) ეიფელის **„დაპყრობა“** რამდენიმე ათასი ევრო დაუჯდათ, რომლის გადახდის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს.

დავუშვათ, რუსეთის **„რუფერი“** მოქალაქეების ნაცვლად, ტერორისტები ყოფილიყვნენ, რა დღე დაადგებოდა ეიფელის კოშკს?

ყურადღების ოდნავი მოდუნება და ტერაქტი ერთია. არადა, მუდამ ფხიზლად ყოფნას გაუძლებს ადამიანი? ან რამდენმა უნდა გაუძლოს? ათასში, ერთის მოდუნება და ტერაქტი – ჩვეულებრივია. როგორც ჩანს, სულ სხვა ზომებია მისაღები, ტერაქტისთვის სიღრმისეული თვალით შეხედვა, გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, თანაც არა ერთი ქვეყნის, არამედ ქვეყნების, მათ შორის დიდთა და ძლიერთა მიერ.

აკეთებს თუ არა მსოფლიო რაღაც მსგავსს? თითქოს აკეთებს, მაგრამ სიტყვით და არა საქმით. სიტყვით, შესაძლოა საქმითაც, ტერორიზმის ბუდეს, რომელიც ერაყ-სირიაშია, ორი კოალიცია ებრძვის – რუსეთ-ირან-**„ჰესბოლასა“** და სირიის სახით და ამერიკა-საუდის არაბეთი-ყატარი და კიდევ 60-მდე სახელმწიფოს სახით. ამ ორიდან პირველი უდავოდ ებრძვის **„ისლამურ სახელმწიფოს“**, მეორეც ებრძვის, ვითომ. აი, სწორედ მოჩვენებითობამ გამოიწვია ის, რაც დღეს არის მსოფლიოში.

ნიცის ტერაქტის ორგანიზატორთა ვინაობას გამოძიება დაადგენს. რაც შეეხება სტამბოლის, სხვა ქვეყნების ტერაქტებს – **„ისლამურმა სახელმწიფომ“** აიღო თავის თავზე. რა უშლის ხელს მეორე კოალიციას **„ისლამური სახელმწიფოს“** წინააღმდეგ ნამდვილი ომის წარმოებაში?

ბევრი რამ. უპირველესად, **„ისლამური სახელმწიფოს“** თავისი ინტერესებიდან გამომდინარე გამოყენება. ინტერესები კი შორსმიმავალია – სირიის დაქუცმაცება, სირიის ხელისუფლების დამხობა, სირიაერაყის ტერიტორიაზე პატარ-პატარა სახელმწიფოების ჩამოყალიბება და ა.შ. ეს, იდეა რახანია ტრიალებს აშშ-ს სპეცსამსახურების ჩინოსანთა თავებში. იდეის ცხოვრებაში გატარება დაასუსტებს რუსეთის პოზიციას, როგორც სირიაში, ისე ახლო აღმოსავლეთში. პირიქით, გააძლიერებს მეორე კოალიციის პოზიციას.

თავის დროზე სწორედ ამ გეგმის შესასრულებლად შეიქმნა ე.წ. ისლამური სახელმწიფო ძლიერთა ამა ქვეყნისათა ხელით. ნატოს წევრი თურქეთი – შესანიშნავ მეგობრულ ურთიერთობებში მყოფი **„ისლამურ სახელმწიფოსთან“**, დღესაც ვაჭრობს მასთან. დღესაც, საკუთარი საზღვრის გავლით, ამარაგებს ტერორისტებს ახალი საზარბაზნე ხორცით. საჯაროდ, თურქეთი იბრძვის **„ისლამურ სახელმწიფოს“** წინააღმდეგ. საჯაროდ, ისიც ტერორიზმის მსხვერპლია, მაგრამ პარალელურად ხომ კავშირებიც არსებობს?!

როდესაც რუსეთის საბრძოლო ვერტმფრენს ტერორისტები თანამედროვე ამერიკული რაკეტებით აგდებენ ძირს, უმალ გიჩნდება აზრი, რომ კავშირები არსებობს. აშშ-ი არც მალავს, რომ აქვს კავშირები მათ მიმართ ლოიალურად განწყობილ ტერორისტებთან, რომლებსაც იარაღით ამარაგებენ, მაგრამ რამდენად არიან ისინი **„ისლამურ სახელმწიფოზე“** უფრო **„ჰუმანური“** ტერორისტები?

არიანო, ამტკიცებენ ამერიკელები და თვალს ხუჭავენ იმაზე, როდესაც ე.წ. ლაითი (რბილი) ტერორისტები, **„მაგრებს“** ახალ ამერიკულ იარაღს გადასცემენ. რახანია რუსეთ-ამერიკა ერთმანეთს ეჭიდავება – შენი ტერორისტია, ტერორისტი და არა ჩემიო. საქმე კი ამით არ იცვლება.

29 ივლისს **„ისლამურმა სახელმწიფომ“**, სახალიფოდ გამოცხადების მეორე წლისთავი აღნიშნა. მანამდე ის სხვადასხვა სახელებით იყო ცნობილი. ეს ტერორისტული ორგანიზაცია ერთობ სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. რა არის ამის მიზეზი და რამდენ ხანს იარსებებს ის? ეს კითხვები ჯერ-ჯერობიით პასუხგაუცემელია.

უპირველესად უნდა ვთქვათ ის, რომ **„ისლამური სახელმწიფო“** გამოხატავს ისლამურ სამყაროში არსებული ისლამური ალტერნატივის ტენდენციას ანუ სახელმწიფოს, საზოგადოების მშენებლობას ისლამის პრინციპებზე დაყრდნობით. სწორედ ეს იწვევს **„ისლამური სახელმწიფოს“** მიმართ სიმპატიებს მუსლიმური მსოფლიოს მხრიდან. მართალია, ისინი გმობენ **„ისლამური სახელმწიფოს“** ბრძოლის უსასტიკეს მეთოდებს, მაგრამ სჯერათ ჭეშმარიტი ისლამური სახელმწიფოს შექმნის.

ბევრი მუსლიმანი **„ისლამური სახელმწიფოს“** წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლას – ისლამის წინააღმდეგ ბრძოლად აღიქვამს. ამით არის გამოწვეული **„ისლამურ სახელმწიფოში“** მსოფლიოს 70 ქვეყნის ჯიჰადისტის ჩასვლა. ბევრი მათგანი **„ისლამურ სახელმწიფოში“** ჩასვლას მიიჩნევს ხიჯრად, რითაც თავს აიგივებს წინასწარმეტყველ მუჰამედთან, რომელმაც ისლამის გადარჩენისთვის, 622 წელს განახორციელა თავისი ხიჯრა – გადასვლა მექიდან, მედინაში. ახალი **„გადამსვლელები“** გამოირჩევიან ფანატიზმით. სწორედ ამ ფანატიზმის მაგალითებს ვაწყდებით ყოველდღე.

„ისლამურ სახელმწიფოსთან“ ომი იოლი საქმე არ არის, ვინაიდან გამარჯვებისთვის საჭიროა არა მარტო საჰაერო დარტყმები, არამედ სახმელეთო ოპერაციაც. სახმელეთო ოპერაციებისგან თავს იკავებენ ამერიკა-რუსეთი, ვინაიდან გამოიწვევს ხანგრძლივ ომს, დიდ მსხვერპლს და კიდევ მეტი ჯიჰადისტის ჩასვლას სირიაში. წაგების შემთხვევაშიც კი **„ისლამური სახელმწიფო“** თავს დროებით დამარცხებულად აღიარებს და ახალ ფაზაზე ბრძოლის გადასვლას დააანონსებს. იდეურ-პოლიტიკურ-რელიგიური თვალსაზრისით **„ისლამური სახელმწიფოს“** დამარცხება ძალიან ძნელია. მაშ რას ემსახურება რუსეთის მოქმედება სირიაში?

სირიის ფრონტზე რუსეთმა მოახერხა ძალის დემონსტრირება – კასპიის ზღვიდან სარაკეტო თავდასხმა, საბრძოლო თვითმფრინავების სისტემატური იერიშები და სხვა. ამასთანავე ახლო აღმოსავლეთში პოზიციების განმტკიცება, რუსეთიდან სირიაში ჯიჰადისტების გადინება, რაც თავისთავად ასუსტებს რადიკალი მუსლიმანების პოზიციებს რუსეთში. ჩრდილო კავკასიაში მოქმედი **„კავკასიის იმარატის“** დაშლაც სწორედ სირიაში გადასვლით არის განპირობებული.

რა შეუძლია **„ისლამურ სახელმწიფოს“?** უპირველესად ომის გახანგრძლივება და მისი ქრონიკულში გადაყვანა, რაც თავისთავად გამოიწვევს მსოფლიო საზოგადოების **„ხალიფატის“** არსებობასთან შეგუებას ისე, როგორც ის შეეგუა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტს.

„ისლამური სახელმწიფო“ ის ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც სხვებისგან განსხვავებით იღვწის სახელმწიფოებრიობისკენ. სახელმწიფოებრიობა თავისთავად გამოიწვევს ტრანსფორმაციას, თვითდახვეწას, პრაგმატიზმის გაჩენას, რაც უბიძგებს მას ხელი აიღოს ტერორიზმისგან. **„ისლამური სახელმწიფო“** რთული კონსტრუქციისაა, მომართული სახელმწიფოებრიობაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ აშშ-ს გარკვეული ძალების სურვილს სირია-ერაყის სამომავლო ბედთან დაკავშირებით, შეიძლება ახალი სახელმწიფოები გაჩნდნენ სირია-ერაყის ტერიტორიაზე და ასეთ დროს, სულაც არ არის გამორიცხული, **„ისლამურ სახელმწიფოს“** საკუთარი ნიშა გაუჩნდეს.

დავუშვათ, პირველმა კოალიციამ შტურმით აიღო **„ისლამური სახელმწიფოს“** დედაქალაქი რაქა – დამარცხდება ამით ეს **„სახელმწიფო“?**

ეს, ხომ ჯერ-ჯერობით **„სახელმწიფო“** არ არის ისეთი, როგორიც ფაშისტური გერმანია იყო, რომელმაც ბერლინის აღებით – შეწყვიტა ასრებობა? **„ისლამური სახელმწიფო“** სხვა ფენომენია. რაქის მარცხის შემდეგ ის სხვაგან გააგრძელებს არსებობას. ამიტომაა საჭირო შეერთებული ძალებით ბრძოლა მის წინააღმდეგ.

მსოფლიოში დღეს არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე **„ისლამურ სახელმწიფოს“**, მხოლოდ რუსეთის შემდეგ იხილავენ, როგორც მსოფლიოს საფრთხეს. ამის შესახებ გვამცნო აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ და ნატოს ვარშავის სამიტმა. მათი აზრით, რუსეთია პირველი მტერი და აგრესორი, მას უნდა უფრთხოდეს კაცობრიობა.

სასაცილო რამ არის, სატირალი რომ არ იყოს და რახან ასეა – არა ერთი განცხადება იქნება – **„მე, ვარ ნიცა!”** (ამჯერად). ისე, კაცმა რომ თქვას ნიცას, პარიზს, ბრიუსელს, ... რომ მოიხსენიებენ, მარტო იქ იღუპებიან ადამიანები და არა სტამბოლში, ბაღდადში, დაკაში?.. აქაც ორმაგი სტანდარტია. და რახან ასეა, ტერორიზმი დაუძლეველი სენი იქნება.

ჰამლეტ ჯიპაშვილი,
პოლიტოლოგი

ილორი

სანდრა რულოვსის „აღდგენითი სამუშაოები“

მწერალი ნ. გელაშვილი სანდრა რულოვსთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში ჩანაწერს აქვეყნებს: **„რას მაბრონებს ეს სიტუაცია?“**

ეს კითხვა დატრიალდა ჩემში, როდესაც საქართველოდან გაქცეულმა ექს-პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა (მაინც) თავისი მეუღლე – ქალბატონი სანდრა ელისაბედ რულოვსი ფსიქოლოგიურად შესაბამისად აღჭურვა (ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თვალებშიც კი ჩაახედა) და ყოფილ სამშობლოში პოლიტიკური ბრძოლის წინა ხაზზე: საარჩევნო მარათონში მაჟორიტარ დეპუტატად გამოამწესა.

და მერე უცებ მივხვდი:

ღმერთო ჩემო, რას მაგონებს და, ჯაყომ მძიმე საფქვავი რომ აჰკიდა მარგოს და წისქვილისაკენ გაუყენა გზას!

რა თქმა უნდა, ჯაყო და მარგო!

ბევრი ქართული რომანი ისევე მავსებს აუტანელი სევდით, როგორც ქართული ყოფა-ცხოვრება, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი მაინც სხვაა. აქ უკიდურესობები ბოლომდეა გამწვავებული: ძალადობა უძველესი ქართული არისტოკრატიული გვარების უკანასკნელ შთამომავლებზე (ერთ დროს კეთილშობილ, მაგრამ საზრისდაკარგულ, უადგილო ცოლ-ქმარზე) ხორციელდება: მათსავე კუთვნილ სასახლეში, მათივე მსახურის – (არაქართველი) ნახევრადცხოველის მიერ.

ცხოვრება კი თავისებურად ერთობა კალეიდოსკოპის ტრიალით, პოლიტიკური კატაკლიზმები კონფიგურაციებს ჩქარჩქარა ცვლიან, პერსონაჟების გარეგნული მახასიათებლები, იქნება ეს ჩაცმულობა, წარმომავლობა თუ ლინგვისტური შესაძლებლობები, დროთა შესაბამისად იცვლება, ეპოქა დრამის რიტმს აჩქარებს, სიუჟეტის რედუცირებას ახდენს, ხშირად ორ პერსონაჟს ერთში აერთიანებს, მაგრამ არსი იგივე რჩება: ძალმომრეობის, ცბიერების, მუხანათობის, სიბრიყვისა და უსირცხვილობის მდგრადობა უდმერთო და უპატრონო ქვეყანაში. მუდმივი შანსი ამ ყოველივესთვის: ავიდეს ტახტზე.

ახლა კონკრეტულად: ცნობილია, რომ თანამედროვე დემოკრატიული ჰუმანიზმის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. მაგრამ, როგორც მოგვეხსენება, ეს მორალური კანონი აღარ ვრცელდება მაღალი თანამდებობის საჯარო პირებზე, პირველ რიგში კი, პრეზიდენტზე. რადგან: ხელისუფლების საქციელს, მის ეთიკურ სახეს დიდი გადამდები ძალა აქვს და იმ შემთხვევაშიც კი ახდენს გავლენას ხალხის დიდი ნაწილის ზნეზე, როცა ეს ხალხი მას არ ენდობა. უფრო ზუსტად და ლაკონიურად ვერ იტყვი: **„თევზი თავიდან ყროლდება“**. ხალხს სჭირდება, ზნეობრივი საყრდენების შენარჩუნებისათვის საჭირო ძალა მიიღოს უმაღლესი ხელისუფლებისაგან.

(ხალხურ ლექსში: ქალსა და ვაჟს ერთმანეთი მოყწონათ, მაგრამ ახლო ნათესავები აღმოჩნდნენ. ქალმა ძალიან განიცადა, ვაჟი კი ეუბნება: **„არა უშავს რა, ქალაო, დროება გამოგვეცვალა, უცხო დაგვიდგა ხელმწიფედ, ერეკლე გარდაგვეცვალა“**).

ამიტომ პრეზიდენტი მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკურ მეთაურად არ მოიაზრება, იგი, ასევე, ერთგული, მოყვარული და ყურადღებიანი მეუღლისა და მამის (ან დედის) განსახიერებაც უნდა იყოს. ოჯახი ხომ სრულიად სამართლიანად განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სახელმწიფოს ფუნდამენტურ ღირებულებათა შკალაზე (რაც, სხვა მხრივ ამერიკის ადეპტებად ქცეულ, ქართველ **„ნაციონალურ ბელადებს“** ნაკლებად აღელვებდათ).

მოკლედ, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოჯახისადმი ერთგულებაში არავის რომ არ ეთანხმებოდა, ყველას კარგად და ძალიან მწარედ გვახსოვს.

მისი მმართველობის პირველივე წლებში ცხადი გახდა, რომ საქართველოს ასეთი აღვირახსნილი ხელისუფალი არასდროს ჰყოლია. დიდსა და პატარას პირზე ეკერა პრეზიდენტისა და მისი უახლოესი გარემოცვის ორგიები შინ თუ გარეთ, თბილისში, ბათუმში, სიღნაღსა თუ შატილში. ასევე, უცხოეთში პოლიტიკური ვიზიტების დროს. პრეზიდენტი ვერტმფრენით უვლიდა ხოლმე საქართველოს და გუნება-განწყობის მიხედვით ეშვებოდა მის ამა თუ იმ წერტილში საქეიფოდ და სალაღობოდ. დიდი ამბავი იყო ატეხილი ერთ პატარა ქალაქში იმის გამო, რომ მთვრალმა პრეზიდენტმა იქაური მოხელის ცოლს დაადგა თვალი და ქალი გადამალეს. მაგრამ პრეზიდენტი არ ცხრებოდა თურმე და... ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, როგორ ლაზღანდარობდნენ ამის თაობაზე იქაური ბავშვები, როგორ შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს იქაური ხანდაზმულები...

სხვაგან მავანი მიმტანი ქალი მოუვიდა თვალში და... წინ რა დაუდგებოდა. ერთხელ საქართველოს მთაში რომ ზეიმობდა, შვეულმფრენით ჩაჰგვარეს იმდროინდელი გულის რჩეული, რადგან ბრძანა, სასწრაფოდ აქ გამიჩინეთო. ხედავდნენ, როგორ შედიოდა პრეზიდენტის სასახლის ეზოში უნომრო მიკროავტობუსი, საიდანაც, როგორც საქმეში ჩახედულები ამბობდნენ, ქუჩიდან აკრეფილი **„სექს-მუშაკები“** გადმოდიოდნენ მარტო მყოფი პრეზიდენტის განტვირთვისათვის. როგორც ამბობდნენ, ქალბატონებისთვის პრეზიდენტის სასახლის, როგორც სასტარტო ადგილის გავლა იყო საჭირო მაღალ თანამდებობაზე მოსახვედრად... მერე კი მათ კეთილად გათხოვებაზე ზრუნავდნენ შესაბამისი მოხელეები. კი, ის ჰყვებოდა ამას, ვისაც თვითონ მოუწია მსგავსი დავალების შესრულება. მოკლედ, ინგლისურად მორატრატე, ნეოლიბერალი სულთნის კარზე ჰარამხანა იფურჩქნებოდა.

და აი, ასე, პირველი ლედი თავის სახლში მარტო ატარებდა ცხოვრებას შვილებთან ერთად. პრეზიდენტი კი – სასახლეში ბორგავდა, იქ იფრქვეოდა მისი და მისი უახლოესი გარემოცვის ჰედონისტურ-ბიოლოგიური აღტყინებები. იქ იყო იგი ბოლოს თავის მომღერალ სატრფოსთან და სხვა პარტნიორებთან ერთად.

ეს ხდებოდა ღიად, აშკარად. ეს იყო მ. სააკაშვილის ხელისუფლების სტილი, **„მისი გუნდის“** პრივილეგია, რაღაც სისტემური მოვლენა, ამოსაცნობი ნიშანი. იცინოდნენ ამის თაობაზე უცხოეთში, პოლიტიკურ წრეებში, დიპლომატიურ კორპუსში. საქართველოს ბედი ეს აღმოჩნდა, რომ მისი ღირსება ამ მხრივაც უნდა გაქელილიყო. ისედაც დამცრობილ ქვეყნის თავმოყვარეობიდან არაფერი აღარ უნდა დარჩენილიყო. მ. სააკაშვილის უსაშველო ბიოლოგიური დაუკმაყოფილებლობა შერწყმული მის სისასტიკესთან ადამიანთა მიმართ – იწვევდა ნერონისა (რის თაობაზეც წერილი გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის წინა ნომერში) და კალიგულას ასოციაციას, რადგან ესენი დარჩნენ მსგავსი პათოლოგიის კლასიკურ მაგალითებად დასავლეთის ისტორიულ სივრცეში.

უფრო დამცირებული, უფრო თავმოყვარეობაშელახული პირველი ლედი დემოკრატიული დასავლეთის ისტორიას არა სცნობია. და ხალხი ამას განიცდიდა. მიუხედავად პრეზიდენტისადმი თითქმის საყოველთაო ზიზღისა და სიძულვილისა, მისი მეუღლე ბევრს ებრალებოდა. ქალბატონ სანდრა რულოვსის ახლო წრე ავრცელებდა ინფორმაციას, რომ მას ჰოლანდიაში წასვლა სურდა, მაგრამ ეშინოდა. **„რომ წავიდეს, მიშა მოკლავსო“,** – მიმტკიცებდა ერთი მისი კეთილისმოსურნე, მეტისმეტად დამამცირებელი მდგომარეობის რაიმენაირად შესარბილებლად. მართლაც, რომელი ქალი არ გაიგებს ამ ხვედრის აუტანელ სიმწარეს?

და, ცხადია, მას ისე უნდა დაეჭირა თავი, თითქოს ქმრის ეს უკიდურესად წრეგადასული ცხოვრება, უბრალოდ, არ არსებობდა. და ასეც იჭერდა. მართალია, ეს ისე კარგად ვერ გამოსდიოდა, როგორც ყოჩაღ ჰილარი კლინტონს, როდესაც მისი მეუღლის, პრეზიდენტ ბილ კლინტონის ერთადერთ მორალურ გადაცდომას ისე ფანატიკურად ჩაეძია ამერიკული სასამართლო, რომ ელემენტარულ ნაწილაკებამდე ჩააღწია და მთელი მსოფლიო უხერხულობის შოკში ჩააგდო. ჰილარი კლინტონი კი მთელი ის ხანი მეუღლესთან ხელჩაკიდებული და ამაყად თავაწეული ჩნდებოდა, აქაოდა, ჩვენს მტკიცე ოჯახს მსგავსი პროვოკაციები ბზარს ვერ დაამჩნევსო.

და საკუთარი ძალების რამდენად უფრო დიდი დაძაბვა სჭირდებოდა სანდრა რულოვსს! ეს ხომ უწყვეტი სირცხვილი იყო მთელი ცხრა წლის მანძილზე. და ის დაძაბული ეგუებოდა: ქმრის მიერ მისი როგორც ქალის ლამის მძვინვარე უარყოფას. თუმცა, სახეზე სულ უფრო უძლიერდებოდა ჩაკლული სიხარულისა და დაფარული გამწარების კვალი. ეს ცოლების ნება ან ბედისწერაა: ზოგი ქმრისაგან ყველაფერს იტანს **„ოჯახის შესანარჩუნებლად“**, ზოგს პრივილეგიების დათმობას ურჩევნია, სამუდამოდ უარი თქვას ღირსებაზე. ზოგს სხვა გზა არა აქვს და იძულებულია, გულში ჩაიკლას ყველაფერი და ქმარს ბოლომდე დაემორჩილოს. და ყველა გადაწყვეტილებით ბედისწერა იქსოვება.

მაგრამ, საქართველოს ყოფილი პირველი ლედი სანდრა რულოვსი ზუსტად ასევე უდრტვინველად ეგუებოდა ცოლების დაქვრივებას, ბავშვების დაობლებას, დედების გაუბედურებას, ცამდე ასულ მოთქმასა და ვაებას, ადამიანთა მეთოდურ წამებას და პატივის აყრას ციხეებში, სადაც ის ხშირად ჩნდებოდა ხოლმე. ის ეგუებოდა ანთებული სიგარეტით სხეულის დაწვას, ძვალ-სახსართა მსხვრევას, პირში ჩაფურთხებას, ზედ დაშარდვას, ადამიანთა მასობრივ დარბევასა და შემუსვრას... დედისერთა სანდრო გვირგვლიანის თოვლზე დაგდებულ, დასერილ სხეულს, მისი დედის ირინა ენუქიძის გულისგამგმირავ გლოვას, პოლიციის მიერ დაცხრილული უდანაშაულო ახალგაზრდების მიწაზე მოცახცახე სხეულებს, მათი დედებისა და მამების სამუდამოდ გაგმირულ გულებსა და უილაჯობას...

მაგრამ არა მხოლოდ ეგუებოდა... ის, აი, ასეთი ქმრის ერთგული იყო მის შავნელ საქმეებში: იგი იტყუებოდა შინ და გარეთ, თავის სამშობლოში და საერთოდ, უცხოეთში ყოფნისას, რომ მიშათი უკმაყოფილო მხოლოდ ის კრიმინალური წრეები იყვნენ, ვინც მიშამ სამართლიანად დასაჯა დიადი რეფორმების გატარებისას, ვინც, კაცმა რომ თქვას, ბალასტი გახლდათ აჟვავების გზაზე შემდგარი სახელმწიფოსათვის... რომ საჭირო იყო ქართველ ხალხისათვის კისრის მოგრეხა, რადგან სხვაგვარად მისგან არაფერი გამოდნებოდა, და მაშასადამე, **„მიშა“ სწორედ ის იყო, ვინც ამ ხალხს სჭირდებოდა“** და ა.შ.

და განა მხოლოდ შიშის გამო გააკეთებს ადამიანი ამას? არა. ქალი, ვისთვისაც სხვისი შვილების დახოცვა-დამცირება საშინელებაა, შეიძლება შიშით გაჩუმდეს, მაგრამ ასე არ იაქტიურებს ადამიანობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებათა გამართლებაში. მაშასადამე, უკვე მაშინ, სანდრა რულოვსის პირველ ლედად ყოფნის სანუკვარ პერიოდში, სულ სხვა იმპულსსაც უნდა ემოქმედა, გარდა სტატუსის შენარჩუნების წყურვილისა: ქვეცნობიერად სანდრა შურს იძიებდა ხალხზე, რომლის თვალშიც ის ესოდენ შეურაცხყოფილი და დამცირებული იყო, ვისაც ის ან ეცოდებოდა, ან არაფრად აღარ აგდებდა. და იგი შურს იძიებდა თავისი მოღალატე ქმრის ხელით. და... ამავე დროს ქმრის გულის მოგებასაც ცდილობდა.

და, აბა, ვის გაუკვირდება ეს მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგიამ ესოდენ გამოწვლილვით იკვლია ადამიანის სულის ფარული სართულები, ხოლო ჩვენმა ხალხურმა ინტუიციამ ჯერ კიდევ როდის გამოთქვა ლექსად, რომ ადამიანის გული ისეთია, **„ვით მორევი შავი ზღვისა...“**

ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ აბა, ვიღას მოუვიდოდა თავში, სანდრასთვის მოეთხოვა, მისი ქმრის მიერ დახოცილ ახალგაზრდების დედებთან მისულიყო სამძიმრის სათქმელად! მით უფრო, ვიღა აჩუქებდა ვეფხისა და მოყმის ბალადას. მაგრამ 2012 წელს მოულოდნელად ყველაფერი დამთავრდა: **„აჰა, განქარდა ესე სამეფოც, მიმოქრილებას გაჰყვა ქართასა“...** როგორც გვეუბნება ცნობილი ქართველი პოეტი ქალის ლექსი... გადაიხვეწა საქართველოდან ხალხის უდიდესი, ყველაზე საღი ნაწილის მიერ შეძულებული, უბნელეს საქმეებში გახვეული, დამარცხებული ცოლ-ქმარი, შვილებიანად, რომელთა ბედიც ნაკლებად ანაღვლებდათ, ისევე როგორც ნაკლებად ანაღვლებს ყველას, ვინც ჩადენილ ბოროტებას უტოვებს მათ მემკვიდრეობად.

მაგრამ, როგორც ამბობენ, მიხეილ სააკაშვილი გაჭირვებაში არ მიატოვეს მის მიერ მომადლიერებულმა დასავლეთის პოლიტიკურმა ძერებმა და იგი თანამშრომლებთან ერთად უკრაინაში დაამკვიდრეს, სადაც თავისუფალი სიყვარულის განუკურნებელ ტრფიალს ისევე არ დასჭირდა მეუღლე, როგორც თბილისში არ სჭირდებოდა.

და აი, ოთხი წლის შემდეგ მან იხმო მისგან შეურაცხყოფილი და დამცირებული დედა თავისი შვილებისა. და მიუშვირა მას თვისი ამღვრეული თვალები ჩასახედად. და მონუსხული სანდრა მორჩილად გამოემგზავრა საქართველოში შვილთან ერთად და ბრმად შთავარდა არჩევნების მარათონში. რისი იმედით? მხოლოდ და მხოლოდ იმის იმედით, რომ ხალხი ბრბოა და, სანდრასი არ იყოს, სხვების ტანჯვა-წამებას არაფრად აგდებს; პირიქით: უხარია კიდეც, რადგან გამწარება და ბოღმა უთუხთუხებს გულში! ან რომ ხალხს მეხსიერების ჩაბნელებები სჭირს და თანამოქალაქეთა გაპარტახება უკვე დავიწყებული აქვს; რომ ხალხი გამოსულელებულია და საკმარისია, უცხოელი რძალი თავის ენაზე დაელაპარაკოს და, სიმღერაც კი უმღეროს, – მეტი არც არაფერი სჭირდება: აღტაცებისაგან აკივლდება და ვნებისაგან ატორტმანდება. და ის, სამწუხაროდ, შორს არ არის ჭეშმარიტებისაგან. სანდრა რულოვსი თავის საარჩევნო კამპანიას ადამიანთა ყველაზე ბნელ სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე აგებს. და მიცურავს სანდრა გედივით ბრბოში. მისი მოჩვენებითად სათნო დიმილი დაგუბებულ შხამს, დიახ, მუხანათობას ჩამოფარებია: ვენდეტა! და დაანახვებს მის უარმყოფელ ქვეყანას, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ავზნიან მეუღლეს, თავის ძალას სანდრადამცირებული! დაანახვებს, რომ ხალხს იგი მოენატრა, განსაკუთრებით სამეგრელოში. ზოგიერთ გზააბნეულ მეგრელსა და სანდრას ერთნაირად სჭირდებათ მიყენებული ჭრილობების მოშუშება, და ისინი ერთმანეთს ათბობენ. ოღონდ, სანდრას, სინამდვილეში, თავისი თავის გათბობაც კი აღარ შეუძლია...

მე არ მინდა დავიჯერო, რომ სანდრა რულოვსი ციხეში მოკლული ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდა, როგორც ამას მრავალი პატიმარი ამტკიცებს. მე არ ვიცი, მართლა სპეცსამსახურების კაბინეტებში დაიწერა თუა არა სანდრა რულოვსისა და მიხეილ სააკაშვილის ცხოვრების სცენარი, როგორც ამ საქმეებთან უფრო ახლოს მყოფი ადამიანები გვამცნობენ. არც ის ვიცი, მართლა იმისთვის ისწრაფვის დეპუტატის იმუნიტეტის მოსაპოვებლად, რომ გაექცეს შესაძლო სასჯელს თავისი ბიზნესდანაშაულებისათვის, თუ არა. მე ის ვიცი, რასაც ვხედავდი და ვხედავ და ეს საკმარისზე მეტია ერთი ქალისათვის – სამყაროში მოთარეშე ბოროტების გასამდიდრებლად. მე ვხედავ, როგორ ატყუებს და ასულელებს ჩემს ხალხს, როგორ უმტკიცებს, რომ თურმე ყორნის გასათეთრებლად მისი ქვიშით ხეხვაც კი არ არის საჭირო, უბრალო საპნიანი წყალიც საკმარისია, ხოლო კუზიანს სამარის გარეშეც უსწორდება კუზი. ვხედავ, როგორ აბრუნებს უკან გაჭირვებულ ხალხს მასობრივ აღვირახსნილობასა და სისასტიკეში; როგორ რეკნის მას, როცა საუკუნის დანაშაულს – სანდრო გვირგვლიანის უღმერთო წამებასა და სამსხვერპლო ცხოველივით დაკვლას, თუ ღირსებით სავსე სამხედრო პირის კოლექტიურ გაუპატიურებას, როცა მთელი ციხე მსხვერპლის ღრიალით ზანზარებდა, – ნაზი ღიმილით **„შეცდომებს“** უწოდებს, შეცდომებს, რომლებიც მას თურმე არ ეხება! და კიდევ ერთი რამ ვნახე, რაც უშუალოდ შემეხო: 2010 წელს ჩვენი საზოგადოება შეძრა **„ნაციონალური ხელისუფლების“** კიდევ ერთმა ექსცესმა, რომელსაც ყოფილი მხედრიონელი და ქილერი, ბატონი ნიკოლოზ რურუა მეთაურობდა (არ დაგავიწყდეთ, თანამოქალაქენო, რომ სწორედ ეს სისხლიანხელებიანი კაცი იყო ნაციონალების კულტურის მინისტრი!). ჰოდა, ამ კაცმა პრეზიდენტს მიაღებინა გადაწყვეტილება მთელ კავკასიაში ცნობილი, უძველესი სამშვიდობო ორგანიზაციის, კულტურისა და განათლების ცენტრის **„კავკასიური სახლის“** გამოძევების შესახებ იმ შენობიდან, რომელიც მისთვის ააშენა ევროპულმა ფონდმა **„ჰორიზონტმა“**. ამ ფონდის რეზიდენცია ნიდერლანდებშია, მას იქაური ადამიანები მართავენ, და მათ სწორედ **„კავკასიურ სახლში“** გაიცნეს თავიანთი თანამემამულე სანდრა რულოვსი, რომელიც აქ, როგორც ჩვენი ერთ-ერთი მეგობარი, ხშირად დაიარებოდა. და ყველანი სიყვარულით ვიღებდით მას. ის კი, ქალური და სათნოდიმილიანი, ჩვენთან სტუმრად რომ დადიოდა და წვეულებებზე თავის თანამემულეებსაც ხვდებოდა, თურმე ჩვენს შენობას სათავისოდ ათვალიერებდა. და აი, დადგა დღეც ოცნების ასრულებისა.

(გაგრძელება მე-9 გვერდზე)

სანდრა რულოვსის „აღდგენითი სამუშაოები“

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)

2010 წელი. კუდ-ი და სოდ-ი გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ მთელი მომსახურე პერსონალი ქუჩაში უნდა გავეყარეთ, **„კავკასიური სახლისთვის“** მთელი უძრავი ქონება წაერთმიათ და მის სანაცვლოდ დაარსებული სხვა ცენტრისთვის გადაეცათ... თანამშრომლების ბინებში უკვე ჩხრეკა დაიწყო ტერორის მიზნით... სანდრა რულოვსის რომელიღაც ფონდისათვის განკუთვნილი იყო მთელი პირველი სართული.

ნეოლიბერალიზმისა და **„ევროპული ფასეულობების“** განსახიერება ბატონი რურუა ქალბატონ სანდრასთან ერთად უმჭიდროეს კავშირს ამყარებს თბილისში ოფიციალურად მოქმედ მეხუთე კოლონასთან და მასთან ერთად აუქმებს **„კავკასიურ სახლს“**! მხოლოდ ჩვენი და დასავლური საზოგადოების მძაფრმა პროტესტმა იხსნა ორგანიზაცია დაღუპვისაგან და პრეზიდენტმა სააკაშვილმა მისი აღსრულება შეაჩერა. და მადლობა დღევანდელ ხელისუფლებას, რომელმაც ბოლოს და ბოლოს იურიდიულად დაგვიმტკიცა ჩვენთვის აშენებული შენობა და დასავლელი მეგობრების თხუთმეტწლიან გაოგნებას და ჩვენს ტანჯვას წერტილი დაუსვა. ასე რომ, საკუთარ კანზე გამოვცადეთ, რა შეიძლება იდგეს სანდრას მომხიბლავი ღიმილისა და ქალური მანერების უკან. და თუ რატომ სჭირდებოდა თავისი ფონდის კულტურის ცენტრთან (ასეთი **„ცენტრები“** სინამდვილეში, სულ ცოტა, სააგენტოებია) თანაარსებობა, ეშმაკმა უწყის. და მაინც გამიჭირდება თქმა, რომ ის თავის მეუღლესთან თუ მეგობარ ნ. რურუასთან ერთად ორმაგი აგენტია თუ სამმაგი. არ ვიცი. ეს ქსელები არ მესმის. რასაც მე თვითონ ვხედავ, ისიც საკმარისია... და მიცურავს სანდრას ნაზი ღიმილი და მოღუღუნე ხმა აღტკინებულ ბრბოს თავზე და მიცურავს სანდრა ბრბოს ტალღებზე თავისი გაურკვეველი მომავლისაკენ. ნუთუ მართლა ჰგონია, რომ ამ ნაკადმა ის შეიძლება ნანატრ მიკროსოდომში – პრეზიდენტის გიგანტურ სასახლეში შეაცუროს? მაშ რა ამოძრავებს, რატომ გაირთულა კიდევ უფრო ცხოვრება და გადაიდო მშვიდი მომავალი? რატომ დაუპირისპირდა ასე ჯიქურ საქართველოს? რატომ წამოიკიდა ტვირთი, რომელიც იმ საფქვავზე უფრო მძიმეა, ჯაყოს მიერ მოტყუებულ, პატივაყრილ და გასრესილ მარგოს რომ წამოუკიდია ზურგზე და წიქვილის გზას მიუყვება? შვილებს კიდევ უფრო რატომ უმძიმებს საკუთარი მამის წყალობით ისედაც დამძიმებულ ხვედრს? მხოლოდ კაცის კი არა, ქალის გულიც შავი ზღვის მორევსა ჰგავს, და თუ რაღაც სპეციერარქიის მიერ მიღებულ დავალებას გამოვრიცხავთ, რომელსაც ცოლიც და ქმარიც ერთნაირად ემორჩილებიან, მაშინ ეს ვერსია რჩება: ალბათ მიუღწეველი მეუღლის მიერ დაკისრებული საბრძოლო დავალების შესრულებით სანდრა იმედოვნებს, მისი გული მოიგოს, მისი კეთილგანწყობა დაიმსახუროს და, ვინ იცის, დაიბრუნოს კიდეც... ეს სანდრას ამოკის რბოლაა, ის ვეღარ გაჩერდება... მან – ახლა უკვე ბრბოს დედოფალმა – ძალიან სევდიანი ფურცლები თავისი წარსულიდან ისევ მომავალში გადაიტანა... რაც შეეხება ბრბოს: დიახ, ბრბოა ის ხალხი, ვინც ცხრა წლის მანძილზე ნაწამები თუ ჩახოცილი სხვისი შვილების, სხვისი მამების, სხვისი ძმებისა და სხვისი ქმრების გვამებზე გადააბიჯა და თავისი ბნელი ინსტინქტებით ისევ მიშა-სანდრასკენ გაიქცა; ვინც ვერ და არ გაიგო, რა მოხდა საქართველოში 2004-იდან 2012 წლამდე; ვისაც არ ანაღვლებს, საქართველოს სხეული პრეზიდენტ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის წყალობით დაჭრილ-დასახიჩრებული და სისხლმდინარე რომ გდია: რადგან გული ამოაგლიჯეს და კიდურები ჩამოაჭრეს... ვინც წესიერად ვერ ერკვევა, მაინც რა დაკარგა საქართველომ; მაინც რა არის და სად არის ეს ქართლია თუ კოდორი... ვისაც არ ტანჯავს ზნეობის უკიდურესი დაცემა საკუთარ ქვეყანაში, ვინც ვერ დაინახა, რომ ამ გადაგვარებას უძლიერესი სტიმული მ. სააკაშვილის პირადმა ცხოვრებამ, ახალგაზრდობის მიმართ მისმა ამორალურმა მოწოდებებმა, **„ნაციონალური მოძრაობის“** მიერ წესიერების ყველა ნორმის გაქელვამ მისცა; ეს მარადიული ბრბო! ის შეჰბღაოდა აღტყინებით ფაშიზმს! მილიონობით ადამიანთა გაცამტვერებას! ის არის დასაყრდენი თანამედროვე სახელმწიფოებრივი ტერორისა და რეპრესიებისა, რადგან არ გააჩნია სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი და მოთხოვნილება! არ გააჩნია ფსიქიკური სისაღე და შინაგანი მთლიანობა! გამქრალი ან მოჩლუნგებული აქვს თანაგრძნობა და თანატანჯვა! დიახ, ბრბოა, გინდაც მეგრელი იყოს, გინდაც ქართველი, გინდაც კახელი... ბრბოა ის, ვინც ახლა ისევ ბოროტმოქმედებს აძლევს ხმას არჩევნებში, რის გასამართლებლადაც ახლანდელი ხელისუფლებისადმი სიძულვილი ვერ გამოდგება. ამ ხელისუფლების კრიტიკა დაუსრულებლად შეიძლება (რისი უფლებაც ყველასა აქვს **„ნაცებისა“** და მათი მომხრეების გარდა), მაგრამ ეს ხელისუფლება ხალხის სისხლში ამოსვრილი არ არის და ადამიანებზე არ ნადირობს. პირიქით: ამ ყველაფერს სწორედ მან დაუსვა წერტილი, მაშინ როცა მავანმა მწერლებმა, მხატვრებმა თუ ჟურნალისტებმა აღარ იცოდნენ, როგორ მიტმასნოდნენ ნახევრადშეშლილ მიკროდიქტატორს. თუმცა, თუ გძულს ეს **„ოცნება“**, – გადახაზე, აირჩიე, ვინც გინდა, მაგრამ ქვეყნის ჩამოყალიბებულ მტერს, უმძიმეს ცოდვებში ჩაფლულ ძალას ნუ მისცემ ხმას. ლახვარს ნუ ჩასცემ შენი ქვეყნის მომავალს! და ბრბოა ისიც, ვინც არ იცის, რომ რა საზომითაც შენ ზომავ, იმავე საზომით გაიზომები განგების მიერ და უნდა გეშინოდეს, როცა სხვისი შვილების უბედურებას ამართლებ (ხოლო წინა პრეზიდენტის დედა თურმე ლათინურ-ამერიკულ ცეკვებზე დადის გულის გადასაყოლებლად. და არც სხვა **„ნაცების“** დედები იქცევიან ადეკვატურად, რაც ბუნებრივია, ვიღაცამ ხომ შობა და გაზარდა ისინი). და აღგზნებული ბრბო ღრიალით მოირწევა და მოჰყავს თავისი დედოფალი – იერიშზე გადმოსული სანდრა-დამცირებული. მე კი იმან უფრო დამაწერინა ეს ტექსტი, რომ უსირცხვილობის ზუსტ სიმბოლოებს ვეძებდი.

სამწუხაროდ, ხშირად მიწევს გამეორება, რომ სირცხვილის დაკარგვა ეს ადამიანის დაცემის უკანასკნელი საფეხურია, უფრო მეტიც: ეს არის **„დაცემა იმაზე ქვემოთ, ვიდრე შესაძლებელია დაეცეს კაცი“**, ერთი პოეტს თუ დავესესხები. მკვლელსაც ეშველება, ქურდსაც და მეძავსაც, თუ სირცხვილი გრძნობა გამქრალი არა აქვს, სხვას რას გვიჩვენებს სახარების უძირო სიბრძნე და გულმოწყალება! მაგრამ ურცხვი ადამიანის წინაშე ალბათ ღმერთიც უძლურია.

ერთი თანამედროვე ქრისტიანი მოღვაწე აფრთხილებს ადამიანებს: **„ძალიან მოერიდეთ იმათ, ვისაც საკუთარი დანაშაულისა და შეცდომის შეგრძნება არა აქვს; ვინც არასოდეს იხდის ბოდიშს.“** სწორედ ასეთ ძალებს, რომლებიც ყველაზე მეტად ისწრაფვიან ძალაუფლებისაკენ, უწოდა დოსტოევსკიმ **„ეშმაკნი“** და მან ძალიან კარგად იცოდა, რასაც გულისხმობდა. ნუ დაივიწყებთ, რომ არცერთ **„ნაცს“** სინანულის ჩრდილიც არ დასტყობია სახეზე ამდენი ჩახოცილი და დასახიჩრებული ადამიანის გამო. რომელ ბოდიშზე და პატიების თხოვნაზეა ლაპარაკი!

და სანდრამ გადალახა უსირცხვილობის რუბიკონი და განიზრახა მოქცევაი ქართლისაი: რათა იგი კვლავ დაუბრუნოს **„ეშმაკთა“** სამეფოს. და უსირცხვილობის წარუშლელ სიმბოლოდ დარჩება საქართველოს ისტორიას ცოლ-ქმარი სანდრა და მიშა, როგორც დარჩა ქართულ ლიტერატურას მუცელღმერთობისა და უსაქმურობის სიმბოლოდ ლუარსაბი და დარეჯანი; ძალადობისა და მუხანათობის სიმბოლოდ – ჯაყო, უპასუხისმგებლობისა და უთავმოყვარეობის სიმბოლოდ – თეიმურაზ ხევისთავი, და უკიდურესად დამცირებული ქალის სიმბოლოდ ორივეს ცოლი და მსხვერპლი მარგო. ხოლო **"მიშამ"** ეს სამივე კაცი შეიერთა, ქვეყანა ცოდვითა და სისხლით აავსო და ისევე დაკარგა ქართლის ნაწილი, როგორც თეიმურაზ ხევისთავმა თავისი მამულები.

და ჩვენ, როგორც არ უნდა დავიღალოთ, მაინც მუდამ უნდა ვებრძოლოთ ემოციურ ატროფიასა და ამნეზიას, როგორც ფილოსოფოსი იტყოდა: **„ზნეობრივ დალტონიზმს“** ჩვენში, რათა უნებურად გვამებს არ გადავაბიჯოთ და იქ არ აღმოვჩნდეთ, სადაც **„ეშმაკები“** სუნთქავენ.

P.S. ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როცა ვიხილე მაჟორიტარ დეპუტატ ქ-ნ სანდრა სააკაშვილ-რულოვსის შეხვედრა თავის ბრბოსთან სენაკში. და მასთან მისული ია მეტრეველი, რომელსაც ერთხელ **„მგლოვიარე მშვენიერება“** ვუწოდე. დედა, რომელსაც ერთადერთი უდანაშაულო შვილი მოუკლა სააკაშვილის **„სისტემამ“** და რომელიც თვითონაც ბევრჯერ მოკლეს ცრუ ადვოკატებმა, ცრუ მოსამართლეებმა და უგვანო ტელეჟურნალისტებმა მიწაზე მოცახცახე, მომაკვდავი ბავშვის უამრავჯერ ახლოდან ჩვენებით. **„მინდა, თვალებში ჩაგხედოო“**, – უთხრა მან ქ-ნ მაჟორიტარს. და, კარგად შეხედეთ, მეგობრებო, სანდრას, აი, მისი ნამდვილი სახე! ყინულოვანი სახე დაპროგრამებული რობოტისა! და გამახსენდა, როგორ მითხრა ერთხელ მისმა ყოფილმა ახლობელმა: **„სიტყვებზე „ცხვრის ტყავში გახვეული მგელი“ მუდამ სანდრა რულოვსი მიდგება თვალწინო**” (ამის დაწერაზე ზემოთ მაინც თავი შევიკავე, მაგრამ ახლა...)

და კიდევ ეს გამახსენდა: **„...და ვიხილე დედაკაცი, მჯდარი ღვთისსაგმობი სახელებით სავსე შვიდთავიან და ათრქიან შავწითელ მხეცზე... და დავინახე, რომ დამთვრალი იყო წმიდათა... სისხლით, და რომ ვუყურებდი, მიკვირდა დიდად“ (გამოცხადება იოანესი)“,** – წერს გელაშვილი.

ენგურჰესზე ტურისტული საიტი მოეწყობა

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრთან ილია ელოშვილთან და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორთან ნიკოლოზ ანთიძესთან ერთად ენგურჰესის თაღოვან კაშხალს ეწვია.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიცირებით და სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობით, უახლოეს მომავალში ენგურის კაშხლის მიმდებარედ დაგეგმილია ტურისტულად მიმზიდველი კულტურული საიტის მოწყობა, მუზეუმითა და ვიზიტორთა ცენტრით.

ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ მინისტრებს ძეგლის განვითარების კონცეფცია წარუდგინა, რომელიც ესტონელი ექსპერტების – ოტტ სარაპუსა და ანდრიუს კირესაარის დახმარებით შემუშავდა და გადაეგზავნა საქართველოს.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ენგურჰესის დიდი ნაწილი აფხაზეთის მხარეს ეკუთვნის, რაც შესაბამისი დიალოგს მოითხოვს აღნიშნული სიახლის დასანერგად. ამდენად, ეს ინიციატივა, შესაძლოა, აფხაზებსა და ქართველებს შორის საერთო მსჯელობის საგანი გახდეს – სათანადო კეთილმოწყობისა და დოკუმენტალურად მომზადების შემთხვევაში, ენგურჰესის უნიკალურ კაშხალს უდიდესი პოტენციალი გააჩნია იმისთვის, რომ მომავალ წლებში თავისი კუთვნილი ადგილი UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში დაიკავოს. ხოლო ერთობლივად ტურისტული სტრატეგიის შემუშავება დიდად შეუწყობს ხელს აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენის უაღრესად მნიშვნელოვან პროცესს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიცირებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ასევე, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, ენგურჰესის თაღოვან კაშხალს ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 სექტემბრის დადგენილებით მიენიჭა.

წიგნის „სენაკის მატიანე” – პრეზენტაცია

გამოხმაურება

როგორც გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილი იუწყებოდა, 9 სექტემბერს სენაკის სამუსიკო სკოლის ს. ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა წიგნის **„სენაკის მატიანე”** პრეზენტაცია.

წიგნის ავტორები არიან ა. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი მწერალი ბორის დავითაია და ბიზნესაკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბადრი ბარკალაია. კონსულტანტია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როზა გაბეჩავა. კომპიუტერული უზრუნველყოფა ეკუთვნის დავით ლომიას.

წიგნი **„სენაკის მატიანე”** უდავოდ დიდი შენაძენია სენაკელთათვის, რამეთუ იქ მრავალი საინტერესო ისტორიული მასალები და ინფორმაციაა წარმოდგენილი.

ავტორი აქტუალურად აშუქებს უაღრესად ღირებულ საკითხებს და შეიცავს მანამდე ბევრისათვის უცნობ საინტერესო ინფორმაციებს. ავტორისაგან ჯეროვნადაა გათვალისწინებული სამეცნიერო ისტორიული ლიტერატურა, მოხმობილია გამოჩენილი მეცნიერების სათანადო შეხედულებანი, კერძოდ, კოლხეთისა და უძველესი ეგრისის, ოდიშ-სამეგრელოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა და სენაკის (სანაკის) წარმოშობის ისტორია, რაც წიგნის უნიკალურობას განსაკუთრებულ ელფერს სძენს.

საგანგებოდ აღსანიშნავია ის, რომ წიგნის საერთო მოცულობა 700 გვერდს შეადგენს. გამოყენებულია უამრავი ისტორიული ღირებულების ფოტოსურათი, შესანიშნავი დიზაინით.

წიგნში შესულია ცნობილი სენაკელების, საზოგადო მოღვაწეების ბიზნესმენების ბიოგრაფიები, აგრეთვე სენაკში მცხოვრები უმცირესობების ებრაელების, ასირიელების ყოფის ამსახველი დეტალები.

წიგნის პრეზენტაციას დაემთხვა თანაავტორის და დიდი ქველმოქმედის ბადრი ბარკალაიას 70 წლის იუბილე. პრეზენტაციაზე წაკითხულ იქნა საქართველოს ბიზნესის აკადემიის მილოცვა, სადაც ბადრი ბარკალაია არჩეულ იქნა ბიზნესის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და გადაეცა საპატიო სიგელი.

სენაკსა და სენაკელებს წიგნის გამოცემა მიულოცა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ (ყოფილი პარლამენტის წევრი) სენაკის მკვიდრმა პაატა ქურდოვანიძემ. პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ: იგორ ბოჯგუა – პედაგოგი, სკოლა **„პელაგონის”** პედაგოგები: ნინო ფრანგიშვილი და რატი ფოჩხუა. ნოსირის საჯარო სკოლის პედაგოგი მერი გვასალია, ჟურნალისტი, მწერალთა კავშირის წევრი, გაზეთ **„თავისუფლების მრწამსით”** რედაქტორი ლანდა მასხულია.

დამსწრე საზოგადოებას სიმღერით მიესალმა სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლთან არსებული მუსიკალური ბენდი **„ცესკური”**. კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი **„სენაკი”**. დიდი მოწონება ხვდა წილად სამუსიკო სკოლის დირექტორს, რუსუდან მილიუტინს და პედაგოგის ნათია მურღულიას მიერ შესრულებულ კლასიკურ ნორმებს და ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტს გიორგი საჯაიას.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რეგიონული მედიის ჟურნალისტები, დედაქალაქისა და რესპუბლიკის, სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები ადამიანები.

დასასრულს წიგნის ავტორმა ბორის დავითაიამ, მადლობა გადაუხადა საზოგადოებას მობრძანებისათვის. აღნიშნა, რომ რედკოლეგიამ დიდი მუშაობა გასწია წიგნის გამოცემისათვის. ადვილი არ იყო მასალების თავმოყრა, ფოტომასალების მოძიება.

ᲑᲘᲯᲘᲙᲝ ᲗᲣᲜᲗᲘᲐ

ილორი
ეროვნული
ინტერესი

„ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ ჩამოყალიბდა ანტაგონისტ სიმბიოზად, რომლებიც ერთმანეთით იკვებებიან...“

„პარლამენტში მივიღეთ ოჯახი, რომელიც არა სიყვარულზე და განვითარებაზე, არამედ სიძულვილზე ააგებს თანაცხოვრებას“

„ივანიშვილმა, სამწუხაროდ, ახლაც მოახერხა და შუა გაკრიფა“

საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც 8 ოქტომბერს გაიმართა, ცესკო-ს წინასწარი მონაცემებით, სახელისუფლებო პარტიასთან ერთად, ბარიერი **„ნაციონალურმა მოძრაობამ“** და **„პატრიოტთა ალიანსმა“** გადალახეს. საარჩევნო პროცესს და მის შედეგს ექსპერტებთან ერთად ვაფასებთ:

ვალერი გორგილაძე: – საერთაშორისო ორგანიზაციები: NDI, IRI, ევროკავშირის მისია, ნატო-ს დელეგაცია და სხვანი, ვინც საქართველოში არჩევნებს აკვირდებოდნენ, აღნიშნავენ, რომ საარჩევნო პირობები კარგად ორგანიზებული იყო, რაც მნიშვნელოვანწილად ცესკო-ს კარგი მუშაობის შედეგია. მათი თქმით, ცალკეულ ინციდენტებს, რაც მოხდა, მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია არჩევნების შედეგზე და ის შეესაბამება ამომრჩევლის ნებას. ამას ემატება პარტიებისთვის მიცემული თანაბარი შესაძლებლობები, თანაბარი წვდომა მედია საშუალებებთან, კონკურენტუნარიანობა, ეს ყველაფერი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ეს იყო სამართლიანი არჩევნები.

– როგორ შეაფასებთ იმას, რომ „პატრიოტთა ალიანსი“, წინასწარი მონაცემით, ლახავს ბარიერს, პროდასავლურ პარტიებს კი ასეთი დაბალი მაჩვენებელი აქვთ?

– როდესაც პარტია ვერ ლახავს ზღვარს და თან მაშინ, როცა, მაგალითად, **„რესპუბლიკურ პარტიას“** აქვს ყველა შესაძლებლობა: ადამიანური, ფინანსური თუ ადმინისტრაციული, ეს უკვე პარტიის პრობლემაა. მათ უნდა გააანალიზონ, რატომ ვერ შეძლეს არა მხოლოდ ბარიერის გადალახვა, არამედ ისიც, თუ რატომ აჩვენეს ასეთი სამარცხვინო შედეგი. ხოლო რაც შეეხება **„პატრიოტთა ალიანსს“** და ირმა ინაშვილს, მათი პარლამენტში არსებობა ისეთივე მოულოდნელი და ექსტრავაგანტული იქნება, როგორც ლეიბორისტული პარტიის პარლამენტში პირველი გამოჩენა. ვინაიდან ეს პარტია განსხვავებული დისკურსის მქონეა, არ ჯდება პოლიტკორექტულობის ფარგლებში, ზოგი მიიჩნევს, რომ რუსული ინტერესების მატარებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ უნდა შევიდნენ პარლამენტში. ქვეყანაში მართლაც არის ეს განწყობა და დემოკრატია სხვა არაფერია თუ არა განსხვავებული მოსაზრებების წარმომადგენლობა. ისინი დიდ გავლენას ვერ მოახდენენ ვერც საპარლამენტო და ვერც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ამიტომ აქ საგანგაშო არაფერია.

– როგორ შეაფასებთ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ლაპარაკს არჩევნების ლეგიტიმაციის პრობლემაზე და წინასაარჩევნოდ სააკაშვილის განცხადებებს, რომ საქართველოში ჩამოვიდოდა...

– სააკაშვილი საქართველოში არ ჩამოვიდოდა. ეს იყო ტექნოლოგია და როგორც ჩანს ამან იმუშავა. ზოგიერთ გადაუწყვეტელ ამომრჩეველზე, რომელიც არ იყო ჩამოყალიბებული არჩევანში, როგორც ჩანს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა დაქადნებამ. ჩემი აზრით, ამით აიხსნება ისიც, რომ მათ საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვთ. რეიტინგის იმ ვარდნამ, რაც 2012 წლის არჩევნების შემდეგ შეიმჩნეოდა, ხელი მაინც ვერ შეუშალა **„ნაციონალების“** პარლამენტში შესვლას. წელს მათ შეძლეს და მხარდამჭერთა რაოდენობა გაზარდეს. მართლაც საინტერესოა იმ დანაშაულებების მიუხედავად, როგორ შეძლო ამ პარტიამ მხარდამჭერთა რიცხვის გაზრდა. არჩევნების ლეგიტიმაციაზე კი მათ გარდა დედამიწაზე არავინ ლაპარაკობს, რაც სრულიად არადამჯერებელია.

გია ხუხაშვილი: – ზოგადად ადამიანებს ყოველთვის უკეთესის მოლოდინი გვაქვს ხოლმე, სამწუხაროდ, ჩვენი პოზიტიური მოლოდინები არ გამართლდა, მაგრამ, რაც მოხდა კანონზომიერი იყო. გამომდინარე იქედან, რომ ორივე მხარე **„ქართული ოცნება“** და **„ნაციონალური მოძრაობა“,** რომელთა ხელშიც იყო მობილიზებული მატერიალური, მედია თუ სოციალური რესურსები, ამომრჩეველს მხოლოდ იმას უმტკიცებდნენ, რომ სამყაროში არსებობდა მხოლოდ ეს ორი ძალა, მოკლედ, ამომრჩევლებს ერთმანეთით აშინებდნენ და მესამე არჩევანის გაკეთების საშუალებას არ აძლევდნენ, ამაზე მუშაობდა მთელი პროპაგანდისტული მანქანა, რამაც შესაბამისი შედეგი გამოიღო და პარლამენტში მივიღეთ ოჯახი, რომელიც არა სიყვარულზე და მომავალ განვითარებაზე, არამედ სიძულვილზე ააგებს თანაცხოვრებას, რაც ქვეყნის განვითარებისთვის სავალალოა.

ივანიშვილმა, სამწუხაროდ, ახლაც მოახერხა და გაკრიფა შუა. პოლიტიკური სივრცე რომ გახსნილიყო, გვექნებოდა სხვა შედეგი – სულ ცოტა, 5-6 პარტია იქნებოდა პარლამენტში. **„ქართულმა ოცნებამ“** შეცდომა დაუშვა, როდესაც საარჩევნოდ არ იზრუნა პოლიტიკურ პარტნიორებზე. ეს აუცილებელი იყო. სხვათაშორის, წინასაარჩევნო პროცესის მიწურულს მიხვდნენ, როგორც ჩანს, ამის აუცილებლობასა და გარკვეული გზავნილები გაახმაურეს, მაგალითად, ბიძინა ივანიშვილმა დაიწყო **„თავისუფალი დემოკრატების“** ერთგვარი რეკლამირება, მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული იყო...

„ნაციონალურ მოძრაობას“ ახლა აქვს დიაპაზონი და დროც იმისთვის, რომ დაგეგმოს პოლიტიკური ტაქტიკა ისე, რომ მაქსიმუმი მიიღოს. მას ექნება თავისი პირობები **„ქართულ ოცნებასთან“**. გამომდინარე იქედან, რომ მათი ამოცანა არ იყო იმდენად არჩევნებში გამარჯვება, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ვერ მოიგებდნენ, მათი ამოცანა ყოველთვის იყო და დღესაც არის **„ქართული ოცნების“** დამარცხება, რაც შესაძლებელია მხოლოდ კრიზისის ინიცირებით, ანუ არჩევნების შედეგების დელეგიტიმაციით. მათ ეს მექანიზმი ჯერ კიდევ უჭირავთ ხელში. ზუსტად ეს მექანიზმია მათი მთავარი იარაღი.

წარმოიდგინეთ ვითარება, როდესაც **„ნაციონალური მოძრაობა“** უარს ამბობს პარლამენტში შესვლაზე და იმავდროულად, მთელი დანარჩენი პოლიტიკური ელიტა უკმაყოფილოა საარჩევნო შედეგით, არ აღიარებს მას და აგრესიულია. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ეჭვქვეშ დააყენებს არჩევნების ლეგიტიმურობას, რაც შესაძლებელია გახდეს პოლიტიკური კრიზისის ინიცირების წინაპირობა, მით უფრო, გაითვალისწინეთ, რომ ამომრჩევლის 50%-ზე ცოტა ნაკლები არ მისულა არჩევნებზე და ამ ხელისუფლებას არ მიიჩნევს თავის არჩეულად. **„ნაცმოძრაობას“** ქუჩაში პოლიტიკური პროცესის გადატანისა და მართვის დიდი გამოცდილება აქვს.

არ გამოვრიცხავ, კულუარულად დაიწყონ კიდევაც კონსულტაციები სხვა პარტიებთან, რათა მოსალოდნელი კრიზისის პირობებში მოხდეს, ფაქტობრივად, მთელი პოლიტიკური ელიტის კონსოლიდაცია.

თუმცა მე ახლა ყველაზე უკიდურეს ვერსიაზე ვლაპარაკობ და დიდი იმედი მაქვს, რომ აქამდე საქმე არ მივა.

პროგნოზირებადი იყო **„რესპუბლიკელების“** შედეგი, ცხადი იყო, რომ მათ შანსი არ ქონდათ პოლიტიკურად დამოუკიდებლად ეცხოვრათ და ეს ახლა არ გაგვიგია. გულდასაწყვეტია, როცა გამორჩეული პოლიტიკოსი, როგორიც დავით უსუფაშვილია, აგებს მასზე პოლიტიკურად მთელი რიგით ნაკლებად მნიშვნელოვან ადამიანებთან, ეს ძალიან სამწუხაროა...

ნიკა ჩიტაძე: – უნდა ვაღიაროთ, რომ არჩევნები მთელი რიგი პროცესებით არ შეესაბამება ბოლომდე დემოკრატიულ საარჩევნო სტანდარტებს, რადგან ბოლო კვირის განმავლობაში დაიძაბა სიტუაცია, ამ ყველაფერს ტერორისტული აქტიც დაემატა. ჩემი აზრით, არჩევნების დროსაც სერიოზული პრობლემები არსებობდა. ყველაზე დიდი პრობლემა კი დაკავშირებული იყო იმასთან, რომ კოორდინატორები რიგ საარჩევნო უბნებზე, საარჩევნო ოლქის გარეთ იმყოფებოდნენ და აღრიცხვას აკეთებდნენ. ასევე ხმის დათვლისას მოხდა დარღვევები ქუთაისში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. მეორე მხრივ, პრობლემაა ის, რომ დიდი ალბათობით, **„ოცნება“** მოიპოვებს საკონსტიტუციო უმრავლესობას, რაც საფრთხეს ქმნის, რადგან მას ექნება საშუალება სხვადასხვა საკითხი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტოს. ისინი შეძლებენ კონსტიტუციაში გარკვეული ცვლილების შეტანას. იმედი, რომ პარლამენტი იქნებოდა მრავალპარტიული, არ გამართლდა. თუმცა საკითხავია, როგორ შეძლო პრორუსულმა ძალამ მაღალი შედეგის ჩვენება და ეს ვერ მოახერხეს პროდასავლურმა ძალებმა: **„რესპუბლიკურმა პარტიამ“** და **„თავისუფალმა დემოკრატებმა“**.

ეკა გადახაბაძე

ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

ამაყ ჯიხაშკარელებს ვუცხადებ მორალურ მხარდაჭერას!

როგორც ცნობილია, 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები არ გამოირჩეოდა ამომრჩეველთა მხრიდან დიდი აქტიურობით. ცესკოს ინფორმაციით მასში თურმე მონაწილეობა მიუღია ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 51%-ს. თუ ეს სიმართლეა – გამოდის, რომ ამ 51%-იდან მიიღეს ის თავიანთი 48 და 28 პროცენტები **“ქოცებმა”** და **“ნაცებმა”**... დიახ, ეს ასეა, მაგრამ იმ 48 %-იდან მინიმუმ ნახევარი მაინც შინაგანად სულაც რომ არაა **“ქართული ოცნების”** მომხრე – ესეც ფაქტია! უბრალოდ, ამომრჩეველთა ერთი ნაწილი იძულებული გახდა მისთვის მხარი დაეჭირა მხოლოდ იმის გამო, რომ მას კატეგორიულად არ სურდა ნაცბანდის გამარჯვება და ხელისუფლებაში უმრავლესობით მისი მოსვლა! ასე რომ, თითქოს ქართველი ერის უმრავლესობა მხარს უჭერს 8 ოქტომბერს გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას – არის ბლეფი, ტყუილი და ზღაპარი! ადრეც მითქვამს და ახლა გავიმეორებ, რომ ქართველი ერის უმრავლესობა საერთოდ არ უჭერს მხარს არცერთ პოლიტიკურ ძალას! ხოლო, ის, რომ ჯერჯერობით შეუძლებელი გახდა ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირებული საპირწონე პოლიტიკური ძალის ფორმირება, რომ, ევროატლანტიკოსი პატრონების და მათი ადგილობრივი მარionეტების მიერ ჩვენს სამშობლოში შექმნილია ორპოლუსიანი პოლიტიკური რეალობა, რომ, ამ სავალალო მოცემულობაში ქართველ ამომრჩეველთა ნაწილს აიძულებენ მისთვის შინაგანად მიუღებელ პოლიტიკურ ძალას დაუჭიროს მხარი – აი, ეს არის მკაფიო დადასტურება იმისა, რომ ადგილი აქვს აშკარა ძალადობას! დიახ, დიახ, დიახ! ეს ნამდვილად არის ამაზრზენი ძალადობა! ქართველ ერზე ძალადობს ყველა, ანუ თითქმის ყველა! ქართველ ერზე ძალადობს შინაურიც და გარეულიც! ძალადობენ ყველანაირი მეთოდებით! ზოგი ცოცხით ძალადობს და ზოგი კიდევ რით! ძალადობენ ხელოვნურად შექმნილი სიტუაციური გამოუვალობით! ძალადობენ ნაირნაირი მანიპულაციებით! ამის გამო არ შეიძლება ადამიანს, წესიერ ადამიანს, პატრიოტ ადამიანს, ოდაბადეს ბედზე მოფიქრალ ადამიანს არ გაგიჩნდეს სამართლიანი პროტესტის განცდა! ჰოდა, აგერ, მივადექი მთავარ სათქმელსაც, ანუ, სწორედ ამ კონტექსტში მინდა შევეხო 8 ოქტომბერს ჯიხაშკარის საარჩევნო უბანზე მომხდარ ინციდენტს და აი რატომ: საქმეც იმაშია, რომ ჩემთვის პირადად ის ინციდენტია თვალსაჩინო დადასტურება იმისა, თუ რა მდგომარეობაში ჩააგდეს ჩვენი საბრალო ხალხი უსულგულო ძალებმა, ანუ, მოდით, პირდაპირ ვთქვათ – მტრებმა! დიახ მტრებმა! ჩვენი ერის დაუძინებელმა მტრებმა! მოგეხსენებათ ყველას, რომ ჯიხაშკარი იყო ერთგვარი ჯიხა, სიმაგრე, ციტადელი ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებისა! აქ, ამ გმირული წარსულის მქონე სოფლის ამაყმა შვილებმა ვერ აიტანეს თანასოფლელთა აწ უკვე ზომბირებული ნაწილის სიბრიყვე და გამოთაყვანებულობა! ვერ აიტანეს ნაცბანდის და **“ცერეუშნიცა”** გადამთიელი დედაკაცის პარპაში ამ სოფელში! ვერ აიტანეს დანაშაულებრივი ნაცბანდის მიერ თანასოფლელების მოსყიდვის მანამდე არნახული და გაუგონარი ფაქტები! ვერ აიტანეს ვერც **“ქოცების”** მოღალატეობრივი უსუსურობა! ვერ აიტანეს კორდონებს იქედან მართული მარionეტ-პოლიტიკანების მიერ ხალხის **“დაბოლება”** და მოტყუება! ვერ აიტანეს ის მოჯადოებული სივრცე, რომელშიც მოაქციეს ჯიხაშკარი და მთლიანად სამშობლოც ყველამ ერთად – **“ნაცებმაც”, “ქოცებმაც”,** რასაკვირველია, სხვა ორგანიზაციებმაც და მათ შორის მარგინალური შეფერილობის რაღაც გაუგებარმა სტრუქტურამ დაჯგუფებმაც! ვერ აიტანეს ძალადობა! ვერ აიტანეს ის გამოუვალი მდგომარეობა, რომელზეც მე ზემოთ მივუთითე! ვერ აიტანეს! და, რაც მოხდა იქ იმ სადამოს – ჩემი ღრმა რწმენით იყო პროტესტი! ეს იყო სამარცხვინო მდგომარეობის გამო ნამუსიანი და ამაყი ჯიხაშკარელების პროტესტი! დიახ, დიახ, ეს იყო შექმნილი სიტუაციის გამო – მართალია კანონის დარღვევით, მაგრამ მაინც ზნეობრიობიდან გამომდინარე პროტესტი და სხვა არაფერი! დიახ, კანონი დაირღვა, მაგრამ შექმნილ რეალობაში, სამწუხაროდ, მხოლოდ ასე შეძლეს იმ ადამიანებმა პროტესტის გამოხატვა და ჩვენ იოტისოდენა სინდის-ნამუსი თუ გაგვაჩნია – უნდა გვესმოდეს მათი! ჩვენ უნდა თანავუგრძნოთ მათ! უფრო მეტიც – ჩვენ მორალური თანადგომაც უნდა გავუწიოთ მათ!.. ახლა, ისე ნუ გამიგებს ვინმე, რომ მე თითქოს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების მხარდამჭერი ვიყო ან წამხალისებელი! არა ბატონო! მშვენივრად მესმის, რომ კანონი არის კანონი, მაგრამ არსებობს მორალიც! არსებობს მორალური კანონიც! ჰოდა, ეს მაიძულებს სწორედ, რომ საქვეყნოდ განვაცხადო: მე, ზურაბ კვარაცხელია ვუცხადებ მორალურ მხარდაჭერას ამაყ ჯიხაშკარელებს და ამასვე მოვუწოდებ ჭეშმარიტ საზოგადოებრიობასაც! დიახ, უმორჩილესად ვთხოვ ნამდვილი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, რომ ჩემს მიერ ზემოთთქმულის კონტექსტში განიხილონ ჯიხაშკარის ინციდენტი და ისე შეაფასონ მომხდარი ფაქტი! მწამს, რომ ასე უფრო ზნეობრივი იქნება და რასაკვირველია სამართლიანიც!..

ახლა, ჯვარს მაცვით თუ გინდათ!..

აპრიორი ვიცი, ახლა, ამას რომ წაიკითხავს მავანი მიშისტი, თავისი ქექე ჭკუით აუცილებლად მოინდომებს დამამშვიდებელი წამალი გამომიწეროს, მაგრამ ბითური მარაზმატიკები თუ მეცოცხეთა ფანები ბოდიში და, დიდი ხანია, ფეხზე მკიდია, ამიტომაც ვიტყვი: არ შეიძლება, კატეგორიულად არ შეიძლება იმ კატეგორიის ადამიანი, აი ის – ნაცხროვის მხარდამჭერ-ამომრჩეველი რომ ჰქვია – საარჩევნო ურნას სათოფეზე გააკარო! ვინმეს თუ აინტერესებს – რატომ? იმიტომ რომ, ეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოა! აშკარაა, რომ არ შეუძლია, არ აქვს ამ ხალხს უნარი გაარჩიოს შავი და თეთრი ერთმანეთისაგან! ყოველ შემთხვევაში, რაღაც პრევენცია აუცილებელია და ამისათვის საჭიროა სპეციალურად შექმნილმა კომპენტენტურმა კომისიამ, სადაც, რასაკვირველია, უნდა იყვნენ ფსიქიატრებიც, რაღაც ტესტირების მაგვარი ჩაუტაროს ვიღაცეებს! ეს კომისია აუცილებლად უნდა დარწმუნდეს ამომრჩევლის ადექვატურობაში და მხოლოდ ამის შემდეგ გასცეს შესაბამისი ცნობა, რომლის საფუძველზეც მას ექნება უფლება არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა! თუ გსურთ გამკიცხეთ! ტოტალიტარიზმისადმი მიდრეკილებაშიც დამდეთ ბრალი, მაგრამ ხალხნო! ძვირფასნო! ხომ ხედავთ, რომ საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი სამწუხაროდ არის ზომბირებული! არ მაქვს ილუზია, რომ ეს ზომბირებული მასა, ბრბო, ოდესმე აზრზე მოვა! მიშა უფშვიტინეს მხარდამჭერებს აწი, თითქმის 100%-იანი ალბათობით, არაფერი ეშველება! ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მხოლოდ ნახევარმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ საარჩევნო ურნებთან მისულთა 27% პროცენტმა ფაქტია, რომ ხმა მისცა თვისტომთა ცოცხით გამაუპატიურებელ ნაცხროვას! ამის შემდეგ, მართლაც შეუძლებელია ვინმემ დამარწმუნოს იმ 27%-ის ადექვატურობაში! გამორიცხულია ეს! ვერავინ დამარწმუნებს მე ამაში! მოდით და გავიხსენოთ სახარებისეული სიბრძნე: **“ყოველმან ხემან, რომელმაც გამოიღოს ნაყოფი არაკეთილი, მოეკვეთოს და დაედვას ცეცხლსა!”** დიახ, ასეა ეს! არა, არ ვამბობ, რომ ვინმე ფიზიკურად უნდა განადგურდეს! ღმერთმა დამიფაროს ამგვარი აზრებისაგან, მაგრამ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის აგრესიულად საშიში მეხუთე კოლონა უნდა იქნას განეიტრალებული! კი ბატონო! იცხოვრონ ჩვეულებრივი ცხოვრებით, მაგრამ არა საარჩევნო უფლებით! აი ასე! ახლა, ჯვარს მაცვით თუ გინდათ!..

რიტორიკული შეკითხვა თბილისელებს სამეგრელოდან!

ძალიან სერიოზულად მაინტერესებს და იქნებ ვინმემ ამაზე გამცეს პასუხი: როგორ მოხდა, რომ ჩვენი მთავარი ქალაქის ყველა საარჩევნო ოლქში პარტიული სიით მეორე ადგილზე გავიდა ე. წ. **“ნაციონალური მოძრაობა?!”** როგორ მოხდა, რომ ამ საარჩევნო ოლქებში მეორე ადგილზე გავიდნენ დანაშაულებრივი ნაცბანდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები?! როგორ მოხდა, რომ მათ მიერ მიღებული ხმების პროცენტული მაჩვენებელი მერყეობს ოციდან ორმოც პროცენტამდე?!

ᲔᲫᲘᲔᲜᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲜᲘ ᲨᲔᲜᲜᲘ!

დღეს საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) ინტელექტის დეფიციტია, როგორც იტყვიან – **„ძლიერნი ამა ქვეყნისანნი“** სრულებით პრიმიტიული აზროვნების სფეროში რჩებიან, რომლებსაც ვერ დაუღწევიათ თავი მიწიერი მატერიალური ცნობიერებისათვის, არა და უსასრულო სამყაროში (კოსმოსში) ცვლილებები ხდება.

კაცობრიობისათვის ცნობილია,რომ 2012 წლისთვის მზე დადგა ირმის ნახტომის გალაქტიკის ღერძზე, რომელმაც გამოიწვია არსებული კოსმიური სისტემის გადალაგება ახალ მდგომარეობაში, რომელიც შეეხო მთელს კოსმოსს, ასევე პლანეტა დედამიწასაც, როგორც სეისმურ-კატაკლიზმური, ასევე ცნობიერ-შემეცნებით რანგში.

ზემოთ ვახსენეთ **„ინტელექტის დეფიციტი“,** მაშ რა უნდა ვუწოდოთ დღეს დედამიწაზე გამეფებულ ცნობიერებას, როდესაც ათასწლეულობით ნაგროვები და მიღწეული საკაცობრიო ფასეულობები არაფრად ღირებული ხდება და ნადგურდება, კერძოდ საქართველოში, ცივილიზაციის კუთვნილი უნიკალური შედევრები იქნა გადაწეული გვერდზე და სანაცვლოდ უაზრო და მაცდუნებელ პროგრამებს სთავაზობენ ხალხს.

ქვეყნად დღეს არსებული საგანმანათლებლო სისტემის ფონზე, თვალსა და ხელს შუა ნადგურდება ჭეშმარიტი მართმადიდებლური მსოფლიო ღირებული ფასეულობები და უფრო, შემაშფოთებელია ის, რომ მომავალს ვტოვებთ საფრთხის ქვეშ.

აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია შეძლებისდაგვარად გაანალიზოს მის გარშემო არსებული პოლიტიკური,თუ სულიერი მდგომარეობა.

არსებული მდგომარეობის ფონზე, არიან ადამიანები, რომლებსაც პრეტენზიები გააჩნიათ რელიგიურ და სულიერ საკითხებში და ასევე სუბიექტურ ინტერპრეტირებას ეწევიან საღვთო წიგნებში, რომლებიც სახალხოდ ხმამაღლა გამოთქვამენ თავიანთ საკუთარ მცდარ შეხედულებას ბიბლიისა და სახარების მიმართ.

სინამდვილეში ეს ადამიანები უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი თავიანთ ქმედებებზე მომავლის წინაშე, რადგან ისინნი ნებსით, თუ უნებლიეთ **„ბიბლიას და სახარების“** საიდუმლო კოდური შიფრის უცოდინარობის გამო ეწევიან ჭეშმარიტი ინფორმაციის გაუკუღმართებას, რომელიც გამიზნულია ძველი და ახალი აღთქმის, ასევე წმიდა წინასწარმეტყველური წერილების გასანეიტრალებლად!

არსებული წერილის შინაარსობრივი მიზნობრიობაც სწორედ ამაში მდგომარეობს, როგორც **„სახარებით“ „მათე მახარობელი“** გვაფრთხილებს:

„გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ, ვინაიდან ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: მე ქრისტე ვარო და მრავალს შეაცდენენ, ვინაიდან აღსდგებიან ცრუ ქრისტენნი და ცრუ წინასწარმეტყველნი“ (მათე 24,4)“.

დღეს საქართველოში ქრისტეს სახელით ბევრი ლაპარაკობს, ისინი თავიანთ თავს წინასწარმეტყველსა და ქრისტეს მახარობელს უწოდებენ, ზოგი მამა ღმერთს ელაპარაკება, ზოგი კი **„სასიძოა ან სადედოფლო“**.

სამწუხაროა ის, რომ მათი ცნობიერება შემოფარგლულია და მცირე შემეცნებითი დიაპაზონში რჩება, ზოგ შემთხვევაში არა მართლმადიდებლური მიდგომა ახასიათებთ, საინტერესოა თვითონ აირჩიეს, **„მამაღმერთთან მეგობრობა“** თუ დავალების უბადლო შემსრულებლები არიან რელიგიის უცოდინარი ხალხის წინაშე?

ვისაც გააჩნია საპირისპირო არგუმენტი, მათ მიმართ ვსვამ საკითხს შემდეგნაირად:

გახსენით, გაშიფრეთ და გაიტანეთ ხალხში საღვთო-რელიგიური ქართული ხელნაწერები, მოგვაწოდეთ ამომწურავი შინაარსობრივი ინფორმაცია, **„ნოეს ეფუთზე“,** მოსეს **„თორაზე“**, იესო ქრისტეს **„სახარებაზე“** და ზოგადად წინასწარ-მეტყველთა მიერ დაწერილ **„წმიდა წერილებზე“**.

ასევე, მოგვაწოდეთ, თუ შესძლებთ, სრული გაშიფრული ვერსია შოთა რუსთაველის **„ვეფხისტყაოსანზე“,** ჩასწვდით და შეაფასეთ თანამედროვეობის უდიდესი თეოლოგისა და მკვლევარის, ქართულ ანბანურ-რიცხობრივი კოდური შიფრის გამხსნელის, ღვთაებრივი **„ბიბლიისა და სახარების“** საიდუმლო ინფორმაციის გამღების, აწ გარდაცვლილი მირიან ქართველის კვლევები და ნაშრომები.

სამწუხაროდ, მათ ცნობიერებას ბევრჯერ აღემატება აქ ჩამოთვლილი მეცნიერულ-რელიგიური შედევრთა საიდუმლო ინფორმაცია.

ყოველივე ამისდა მიუხედავად, ეგრეთწოდებულნი **„მამაღმერთის მეგობრები“** აგრძელებენ ხალხში გავრცელებას თავიანთი ცრუ და მცდარ შეხედულებების **„ბიბლიისა და სახარების“** მიმართ, ისინი არ ფიქრობენ ღვთაებრივი საიდუმლო კოდური ინფორმაციის შემცველი დღემდე გაუშიფრავი მეცნიერულ რელიგიაზე, რომელიც საიდუმლოდ არის შენახული **„დათქმულ დრომდე“!**

სწორედ ამ დროსა და ჟამზე გვაფრთხილებს გენიოსი რუსთაველი თავის უკვდავ პოემაში, სადაც **„ბიბლისაა და სახარების“** სრული ადეკვატური შინაარსი პოეტური მსოფლმხედველობით რანგშია აყვანილი.

პოეტი ბრძანებს:

ზედა ეწერა; „აქა ძეს აბჯარი საკვირველიო,

ჯაჭვ მუზარადი ალმასი,ხრმალი ბასრისა მჭრელიო,

თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, იყოს დღე იგი ბნელიო!

უმისჟამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მკვლელიო.

დიახ, მეფის მკვლელი და ღმერთის უარმყოფელია ის ვინც შეგნებულად ილაპარაკებს სიცრუეზე და ეცდება ხალხის რელიგიური ცნობიერების გაუკუღმართებას.

ბიბლიური წინასწრმეტყველი **„ესაია“** ბრძანებს:

„ნათლის გამომხატველი და ბნელის შემქმნელი, მშვიდობისმყოფელი და ჭირის შემქმნელი,მე ვარ უფალი,ამის ყოველის შემომქმედი!“

ყველაფერი შემოქმედის ნება სურვილით არის მზისქვეშეთში,მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთი დიდხანს არ დააყოვნებს ბოროტებას დედამიწაზე, ამიტომ დედამიწიერი კაცობრიობა თავისი უარყოფითი ეპოქალური პერიოდის აზღვევების ბოლო ფაზაში იმყოფება, რასაც რელიგიური ტერმინით **„აპოკალიფსის ბოლო ჟამი“** ეწოდება.

ქართველებო და დედამიწაზე სადად მოაზროვნე ადამიანებო, წმიდა წერილი გვაფრთხილებს **„თქვენი საქმე არ არის იცოდეთ, დროები ან ვადები,რომელიც მამამ დაადგინა თავისი ხელმწიფებით“** (საქ.1,17).

მაგრამ, მიუხედავად ამისა, დედამიწიერი, ხორცის სხეულში მყოფი ადამიანი ვალდებულია ესწრაფოს სრულყოფილ სულიერ-ცნობიერ მოწიფულობას, რადგან, მხოლოდ სულიერად მოწიფულ ადამიანს შეუძლია გაითავისოს ჩვენს გარშემო არსებული უსასრულო სამყარო, ღმერთი და მარადისობა, ასევე მხოლოდ სულიერ-რელიგიური მოწიფულ საზოგადოება შეძლებს გააანალიზოს წმიდა წერილები და დღემდე შეუცნობი ხელნაწერები, როგორიცაა იოანე ზოსიმეს **„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“**, სადაც ავტორი შეფარვით გადმოგვცემს საიდუმლოს:

„დამარხულ არს ენაი ქართული,

დღემდე მეორედ მოსვლისა,მისისა საწამებლად.

რათა ყოველსა ენასა, ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“...

– ქრისტესმიერნო დანნო და ძმანნო, დედამიწაზე უამრავი ღვთაებრივი და კეთილი საქმეა გასაკეთებელი, როგორც სახარება გვეუბნება:

„სამკალი ბევრია, მუშაკნი კი – ცოტა, ამიტომ ევედრეთ სამკლის უფალს, რომ წარმოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში“ (მათე 10,37).

ჩვენც ადამიანები შევსთხოვთ შემომქმედ **„მამაზეციერს“**, რომ ჭეშმარიტნი მუშაკნი გამოგზავნოს დროულად, რათა შევსძლოთ **„მაცხოვრის მეორედ მოსვლის“** წინარე პერიოდის ღირსეულად გავლა.

როგორც იოანე წინასწარმეტყველი გვაფრთხილებს **“აბა, შვილებო, დარჩით მასში, რათა, როცა იგი გამოცხადდება და არ შევრცხვეთ მის წინაშე მისი მოსვლისას“** (იოანე 2,28).

მაცხოვრის გამოცხადების ღირსეული დახვედრის წინა პირობას წარმოადგენს დღევანდელი ჩვენი რელიგიისა და საღვთო საკითხების მიმართ სწორი მიდგომა.

ღმერთმა დალოცოს ყველა ქრისტიანი და ღვთის მოშიში ადამიანი, ამინ!

მურმან ხუბულავა

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲛᲐᲠᲨᲐᲕᲐ

გარდაიცვალა მარშავა კონსტანტინე მიხეილის ძე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ენგურჰესის უფროსის მოადგილე მშენებლობის დარგში, აფხაზეთის სოფლის ელექტროქსელის უფროსი, დიდი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც დიდი ღვაწლი შეიტანა ქართულ-აფხაზურ შერიგებაში, აფხაზეთის ქართველ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე, "გამარჯვების მემკვიდრეთა კავშირთან" არსებული უხუცესთა საბჭოს საპატიო წევრი.

ვიზიარებთ გარდაცვლილის ოჯახის მწუხარებას

ო. ჯოლია,
გამარჯვების მემკვიდრეთა კავშირის თავმჯდომარე

ო. ვახანია,
გამარჯვების მემკვიდრეთა კავშირთან არსებული უხუცესთა საბჭოს თამჯდომარე

წევრები: ბ. გვეტაძე, ბ. ხაზარაძე, მ. გაბუნია, რ. ნაცარაშვილი, ტ. ლეფსაია, ჯ. მოსიძე, ა. კონჯარია, მ. ჯალაღონია, ნ. ემხვარი

ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲕᲐᲚᲣᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ოდესმე თუ დაინტერესებულხართ, რატომ ეწოდება დოლარს დოლარი ან ფუნტს ფუნტი?

ბრიტანული გამოცემა **Independent**-მა ოქსფორდის ლექსიკონის დახმარებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების განმარტებები გამოაქვეყნა.

დოლარი

დოლარი მსოფლიოს ყველაზე გავრცელებული ვალუტაა. დოლარი გამოიყენება – აშშ, კანადაში, ავსტრიაში, ახალ ზელანდიაში, სინგაპურში და სხვა ქვეყნებში. ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ფლამინდიელები ან გერმანელები **„ხოაკიმის“** ველზე დასახლდნენ, სადაც პირველად მოიჭრა ვერცხლის მონეტა. მონეტას ეწოდა joachimsthal, რაც შემდეგ შემოკლდა როგორც „thaler“. საბოლოოდ კი დოლარი ეწოდა.

პესო

პესო ესპანური სიტყვაა და თარგმანში წონას ნიშნავს.

ლირა

იტალიური და თურქული ლირა ლათინური სიტყვა **„ლიბრადან“** მომდინარეობს, რაც ფუნტს ნიშნავს.

მარკა

ევროს შემოღებამდე, გერმანიასა და ფინეთში მთავარი ვალუტა მარკა იყო, რომელიც ასევე წონას ნიშნავს.

რიალი

ლათინური სიტყვა „რეგალიდან“ მოდის და ნიშნავს „სამეფოს“. რიალი ყატარში, საუდის არაბეთსა და იემენში მოქმედებს.

რენდი

სამხრეთაფრიკელების ეროვნულ ვალუტა რენდს სახელწოდება ჰოლანდიელებმა დაარქვეს, მათი ქალაქის **Witwatersrand** პატივსაცემად, სადაც ოქროს მოიპოვებდნენ.

ჩინური იუანი, იაპონური იენი და კორეული ვონი

იუანის, იენისა და ვონის სახელწოდებაც თარგმანში მრგვალ მონეტას ნიშნავს.

კრონი

კრონი სკანდინავიურ ქვეყნებში გამოიყენება და გვირგვინს ნიშნავს.

დინარი

გამოიყენება: იორდანია, ალჟირი, ქუვეითი, სერბეთი. დინარი ლათინური სიტყვაა და მომდინარეობს **„დინარისიდან“**, რომელსაც ძველ რომში ვერცხლის მონეტებს უწოდებდნენ.

ფუნტი

ბრიტანული ფუნტი მომდინარეობს სიტყვა **„პოუნდუს“**, რაც წონას ნიშნავს.

რუბლი

გამოიყენება რუსეთსა და ბელორუსში და ვერცხლის წონას ნიშნავს.

ზლოტი

პოლონეთის ძირითადი ფულის ერთეული, პოლონურად ნიშნავს ოქროს.

ილორი
ეროვნული ინფორმაციის

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ბრძოლა ხამესისთვის, შემცვლელი ჰარტისთვის

11:58. „ტელეგრაფი“ ირწმუნება, რომ „არსენალი“ სერიოზულ ინტერესს იჩენს ხამეს როდრიგესის მიმართ. კოლუმბიელიც არ არის წინააღმდეგი, „მეთოფე“ გახდეს, მით უმეტეს, ზინედინ ზიდანისგან ნდობას ვეღარ გრძნობს.

12:01. „ინტერს“ ალექსის სანჩესის ყიდვა უნდა. ჩინელი ინვესტორების ხელში მოფერიანებული „ნერაძური“ უკვე თამამად ფიქრობს ძვირად დირებულ გარიგებებზე. იტალიელები 27 წლის ჩილელში 80 მილიონ ევროს იძლევიან, თავად ფეხბურთელს კი სეზონში 8 მილიონ ევროს სთავაზობენ, რაც სერია A-ს დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ზღაპრული ჯამაგირია. სანჩესის გაყიდვით, „არსენალს“ ხამეს როდრიგესის საყიდელი ფული გაუჩნდება.

12:09. „ვალენსია“ მარიო სუარესის გადაბირებას ცდილობს. ეს საყრდენი ნახევარმცველი 2010-15 წლებში „ატლეტიკოს“ ღირსებას იცავდა, ახლა კი „უოტფორდში“ აგორებს ბურთს.

12:19. „აინტრახტმა“ „ჩელსისგან“ ერთწლიანი იჯარით წაიყვანა 24 წლის მცველი მაიკლ ჰექტორი. საინტერესოა, რომ იამაიკელს უკვე მეცამეტედ (!) უშვებენ იჯარით.

12:31. დომენიკო კრიშიტო, შესაძლოა, იტალიაში დაბრუნდეს, სადაც მისით „ნაპოლია“ დაინტერესებული. თუმცა „ზენიტი“ მარცხენა მცველის გაშვებას არ აპირებს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც.

12:44. „ინტერი“ ცენტრალურ მცველს ეძებს. „ტუტოსპორტი“ წერს, რომ რონალდ დე ბურის სიაში სამი კანდიდატურაა – ესეკილ გარაი, დელეი ბლინდი და ელიაკიმ მანგალა.

12:55. „ელ მუნდო დეპორტივო“ წერს, რომ „მანჩესტერ სიტიმ“ თითქმის მოაგვარა ჩილელი მეკარის, 33 წლის კლაუდიო ბრავოს ტრანსფერი.

13:10. პეპ გვარდიოლას მიერ მოძულებული ჯო ჰარტი უგუნდოდ ნამდვილად არ დარჩება. ინგლისის ნაკრების მეკარეს „ევერტონი“ და „სევილია“ ეპატიჟებიან.

13:18. „რეალმა“ ნორვეგიელი ვუნდერკინდი მარტინ ედეგორი ერთი წლით ფრანგულ „რენში“ გაანათხოვრა.

13:31. შვეიცარიელი მცველი ფილიპ სენდეროსი, რომელიც თავისუფალი აგენტია, კარიერას „რეინჯერსში“ გააგრძელებს.

13:39. „დერბი“ და „ჰალი“ „ტოტენჰემის“ მცველ დეანდრე იედლინში 4 მილიონ ევროს იხდიან. გასული სეზონი ამერიკელმა იჯარით „სანდერლენდში“ გაატარა.

13:59. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა „ფენერბაჰჩე“ ჩაიბარა.

14:20. „სანტოსის“ ნახევარმცველი ტიაგო მაია „ჩელსიში“ გადადის. გარიგება დაახლოებით 15 მილიონი ევრო დაჯდება.

14:49. „ფრანს ფუტბოლის“ ინფორმაციით, ბრაზილიელი მცველი დანტე „ვოლფსბურგიდან“ „ნიცაში“ გადადის.

15:18. „ტოტენჰემი“ ადრიან სილვაში 15.5 მილიონ ევროს იხდის. პორტუგალიის ნაკრებისა და „სპორტინგის“ შემტევი ნახევარმცველი კრისტიან ერიქსენის ალტერნატივად განიხილება. დანიელს „იუვენტუსი“ და „ინტერი“ უხმობენ.

15:33. „ევერტონმა“ „კრისტალ პალასისგან“ იანიკ ბოლასი იყიდა. „კანფეტებს“ ეს სიამოვნება 36 მილიონი ევრო დაუჯდათ. 27 წლის კონგოელ გარემარბთან 5-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

15:47. როგორც ამბობენ, „გალათასარაი“ შეიკ ტიოტეს შეძენითაა დაინტერესებული. ჩემპიონშიფში დაქვეითებული „ნიუკასლის“ მწვრთნელი რაფა ბენიტესი გუნდში წმენდას იწყებს („კაჭკაჭებმა“ ორივე სასტარტო მატჩი წააგეს) და კოტდივუარელი ტიოტე ერთ-ერთი იმათგანია, ვის გასხვისებასაც ესპანელი სპეციალისტი წინააღმდეგობას არ გაუწევს.

16:10. „უოტფორდი“ „იუვენტუსის“ ფორვარდ რობერტო პერეირაში 15.5 მილიონ ევროს იძლევა.

16:41. „ევერტონი“ ბაზარზე აქტიურობას აგრძელებს. ამჯერად, „კანფეტების“ თვალთახედვის არეში ნიკოლა კალინიჩია მოქცეული. „ფიორენტინა“ ხორვატ ფორვარდს 36 მილიონად აფასებს, მაშინ, როცა „ევერტონს“ მხოლოდა 15 მილიონი ემეტება. ლივერპულური კლუბი მზადაა, თანხასთან ერთად რომელიმე ფეხბურთელი დათმოს.

16:56. „ინტერი“ ლორენცო ინსინიეს უმიზნებს. ფორვარდმა ჯერჯერობით ვერ მიაღწია შეთანხმებას „ნაპოლის“ მესვეურებთან, რომლებიც მისთვის ხელფასის მომატებას არ აპირებენ. სწორედ ეს უთანხმოება გახდება ალბათ ინსინიეს აბარგების მიზეზი.

17:12. „ლიონი“ ლოიკ რემის („ჩელსი“) იჯარით აყვანის საკითხს განიხილავს. 29 წლის ფრანგს პრემიერლიგის კლუბებიც უტრიალებენ.

17:52. გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ევერტონს“ ჩარლი ოსტინის შეძენა მოუნდა. ეს ფორვარდი „საუთჰემპტონში“ იყო, როცა იქ რონალდ კუმანი მწვრთნელობდა. დღეს ჰოლანდიელი „გუდისონ პარკზე“ მუშაობს და ოსტინთან თანამშრომლობა იქაც სურს.

18:23. „კრისტალ პალასი“ იანიკ ბოლასის შეცვლას მუსა სისოკოთი აპირებს. ტრანსფერის საფასურად 36 მილიონ ევროს ასახელებენ.

19:00. „პესკარა“ ახლოსაა ლისაბონის „სპორტინგიდან“ იტალიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველის, ალბერტო აკვილანის ტრანსფერთან.

19:31. „მარკას“ ინფორმაციით, „ბარსელონასა“ და „დორტმუნდს“ მარიო გომესის შეძენა სურთ. „ბეშიქთაში“ კი ცდილობს, შეინარჩუნოს გერმანიის ნაკრების ფორვარდი, რომლის ტრანსფერი „ფიორენტინას“ ეკუთვნის.

20:12. ხამეს როდრიგესისთვის ბრძოლაში ერთვება „ჩელსი“, რომელიც მზადაა, „რეალს“ 90 მილიონი ევრო გადაუხადოს.

20:45. „სქაი სპორტი“ წერს, რომ თუ „არსენალი“ შკოდრა მუსტაფის ვერ იყიდის, ემერ ტოპრაკის („ლევერკუზენი“) ან სიმონ კიაერის („ფენერბაჰჩე“) გადაბირებას შეეცდება.

გიორგი ნინიძე

ქალთა დუელები ღირსების საქმე

ურთიერთობის გარკვევა იარაღის მეშვეობით ტრადიციულად ქალის საქმე არ იყო. როდესაც მამაკაცები ერთმანეთს დუელზე ხვდებოდნენ და ქალის ღირსებას იცავდნენ, – ეს კეთილშობილურ საქციელად ითვლებოდა. ქალთა დუელები მართალია იყო უფრო იშვიათი, თუმცა, გაცილებით სასტიკი, ვიდრე მამაკაცების – მათგან უმეტესობა **„პირველი სისხლით“** კი არ მთავრდებოდა, არამედ ფატალური შედეგით.

პირველი დუელი ქალთა შორის 1571 წლის 27 მაისს შედგა. მილანის წმინდა ბენედიქტის სახელობის ქალთა მონასტრის ქრონიკების მიხედვით, ამ დღეს ორი კეთილშობილი ქალბატონი ჩამოვიდა და სთხოვა დედათა მონასტრის წინამძღვარს, რომ ლოცვისთვის ოთახი გამოეყოთ მათთვის. ამის შემდეგ ქალები ჩაიკეტნენ ოთახში და ნამდვილი ორთაბრძოლა მოაწყეს ხანჯლებით. დუელის შედეგად ორივე დაიღუპა.

ქალბატონები განსაკუთრებული სისასტიკით ებრძოდნენ ერთმანეთს – მახვილის წვერს შხამს უსვამდნენ ან სპეციალურ ნაერთს, რაც მწველ ტკივილს იწვევდა ყოველი შეხებისას, იქამდე ისროდნენ, სანამ რომელიმე მათგანი არ დაიღუპებოდა ან მძიმედ არ დაიჭრებოდა. როგორც წესი, დაშნებით ბრძოლისას ქალები წელს ზემოთ შიშვლები იყვნენ, რადგან კაბები თავისუფლად მოძრაობაში ხელს უშლიდა და ამასთან სახიფათოდ ითვლებოდა, თუ ქსოვილის ნაწილი ჭრილობაში მოხვდებოდა.

ყველაზე სასტიკი ქალთა დუელები ეჭვიანობის ნიადაგზე იმართებოდა. მამაკაცების გამო ქალბატონები იბრძოდნენ თოფებით, დაშნებით, სტილეტებით, დანებით და ზოგჯერ ფრჩხილებითაც კი! ფაქტიურად მსგავსი ორთაბრძოლები ხშირ შემთხვევაში ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე იმართებოდა და მძიმე შედეგით მთავრდებოდა.

ერთ-ერთმა თანამედროვემ სამართლიანად აღნიშნა: **„თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ დიდ გაღიზიანებას, რაც ქალთა ურთიერთობებს ახასიათებს, უნდა გვიკვირდეს რომ უფრო ხშირადაც კი არ იმართება მსგავსი სახის ორთაბრძოლები მათ შორის.“**

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, 1969 წელს დაბადებული ა.მ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას, ბუპრენორფინის შემცველი 31 აბი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს.

იუმორი

— შალიკია, ენას ნუ მიყოფ, თვარა ავად გახდები! — ამბობს ჭიჭიკია.

— რითი გავხდები ავად? — ეკითხება შალიკია.

— ყბის მოტეხილობით და ტვინის შერყევით!

* * *

სკოლიდან მოსულ ბავშვს მამა ეკითხება:

— დღეა რა მოხდა განსაკუთრებული სკოლაში?

— ქიმიის გაკვეთილზე მასწავლებელმა ცდა ჩაატარა.

— მერე, როგორ დამთავრდა ცდა?

— წარმატებით, ხვალ სკოლაში წასვლა აღარ მომიწევს.

— რატომ?

— სკოლა აღარ არის!

* * *

გამოცდაზე გასული სტუდენტი კანკალებს. ლექტორი ეკითხება:

— ასე რატომ კანკალებ, ჩემი კითხვების გეშინია?

— არა, ჩემი პასუხების... — ამბობს სტუდენტი.

* * *

ქმარი ცოლს მანქანის ტარებას ასწავლის.

— წითელ შუქზე უნდა გაჩერდე. მწვანეზე უნდა გაიარო, ჩემს შეშინებულ სახეს ყურადღებას ნუ მიაქცევ...

გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.

დომენტი გაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge